პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 33 (10119) | ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

# საბჭოთა ქვეყნის ძლიერების საფუძველი

საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებს. ყოველდღე მოდის ახალი ცნობები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში მიღწევათა შესახებ. ვითარდება და წარმატებებს აღწევს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რომელმაც დაამტკიცა თავისი განუზომელი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე.

სოციალისტური ეკონომიკის ძალისა და ძლიერების საფუძველია მძიმე ინდუსტრია. თუ საბჭოთა ქვეყანაში წლითიწლობით, თვიდან თვემდე იზრდება ყველა სახეობის პროდუქციის გამოშვება, დიდდება საზოგადოებრივი სიმდიდრე, უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, ამას საბჭოთა ადამიანები უნდა უმადლოდნენ უწინარეს ყოვლისა კომუნისტური პარტიის გამჭრიახ პოლიტიკას, მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნისა და განუწყვეტელი განვითარების მის გენერალურ ლენინურ ხაზს.

ასრულებს რა დიდი ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში არ დაუშურებია ძალები და სახსრები იმისათვის, რომ აეშენებინა პირველხარისხოვანი მძიმე მრეწველობა და ამ საფუძველზე განეხორციელებინა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენმა ხალხმა თავისი ქვეყანა ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან მოწინავე, ინდუსტრიულ ქვეყნად გადააქცია. 1953 წელს 1913 წელთან შედარებით სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 30-ჯერ, წარმოების საშუალებათა წარმოება — 50-ჯერ და მეტად, ელექტროენერგიის წარმოება — თითქმის 70-ჯერ. უფრო ძლიერი ტემპით იზრდებოდა მანქანათმშენებლობა, რომელიც მძიმე ინდუსტრიის გულია. მძიმე მრეწველობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ 1954 წელს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, ახალი ძალით აღინიშნა ხაზგასმით დიდი მნიშვნელობა გენიალური ლენინისა და მისი საქმის ერთგული განმგრძობის სტალინის მითითებებისა იმის შესახებ, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მძიმე ინდუსტრია.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას მიწათმოქმედებაც", რომ, მძიმე მრეწველობა თუ არა, „ჩვენ ვერ შევძლებთ ვერავითარი მრეწველობის აშენებას, უიმისოდ კი ჩვენ საერთოდ დავიღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა".

ავითარებდა რა ლენინის მითითებებს, ი. ბ. სტალინი, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპების შენელება „იქნებოდა თვითმკვლელობა, ძირის გამოთხრა მთელი ჩვენი მრეწველობისათვის, მათ შორის მსუბუქი მრეწველობისთვისაც. ეს იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგიდან გადახვევა, ჩვენი ქვეყნის გადაქცევა მეურნეობის მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დანამატად".

მძიმე ინდუსტრიის ყოველი ღონისძიებით განვითარების ამ ერთადერთ სწორ ხაზს, რომელიც დიდმა ლენინმა დასახა, პარტია განუხრელად ახორციელებდა სტალინის ხელმძღვანელობით. იგი ამჟამადაც თანმიმდევრულად ახორციელებს ამ ხაზს და კვლავაც მტკიცედ განახორციელებს მას!

პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებამ, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, უზრუნველყო წარმოების სოციალისტური წესის გამარჯვება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის ისეთ ვრცელ და საარსებოდ მნიშვნელოვან დარგში, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, წარმოების განუწყვეტელი განვითარება უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების მეოხებით განუხრელად მაღლდებოდა და მაღლდება კულტურულ-ტექნიკური დონე საბჭოთა მუშათა კლასისა, რომელიც ჩვენი საზოგადოების მოწინავე რაზმი და ხელმძღვანელი ძალაა. უძლეველ ძალად გადაიქცა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი. წინათ ჩამორჩენილმა განაპირა მხარეებმა სრულიად იცვალეს სახე, წარმატების გზაზე დამდგარი მრეწველობისა და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის რაიონები გახდნენ, რის შედეგად შემდგომ განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნის მეოხებით ჩვენი ქვეყანა გახდა სოციალიზმის მიუვალი ციხე-სიმაგრე, განუზომლად განამტკიცა თავისი თავდაცვისუნარიანობა, ღირსეულად გაუძლო დიდი სამამულო ომის მკაცრ განსაცდელს და მსოფლიოისტორიული გამარჯვება მოიპოვა ამ ომში.

მძიმე მრეწველობის უდიდესი მნიშვნელობა ნათლად გამოვლინდა ომისშემდგომ პერიოდშიც, როცა საბჭოთა ადამიანებმა მოკლე ვადაში არათუ აღადგინეს, არამედ აგრეთვე გიგანტური ტემპით წასწიეს წინ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა. ეყრდნობა რა სოციალისტური ინდუსტრიის ძლიერებას, ჩვენი პარტია წყვეტს ისეთ გრანდიოზულ ამოცანებს, როგორიც არის მრავალი მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება მოკლე ვადაში, მარცვლეულის წარმოების გადიდება 10 მილიარდ ფუთამდე წელიწადში, მეცხოველეობის პროდუქტების, მთლიანად სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოება.

პირველხარისხოვანი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა და განუწყვეტელი განვითარება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე მოძღვრების უდიდესი გამარჯვებაა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის ტრიუმფია. ჩვენი პარტია მუდამ გადაჭრით იბრძოდა და კვლავ იბრძოლებს ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, რომ შეამცირონ მძიმე ინდუსტრიის მნიშვნელობა, შეასუსტონ ყურადღება მისი განვითარებისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, თვალნათლივ გამოვლინდა კომუნისტური პარტიისა და მთელი ჩვენი ხალხის ზრუნვა მძიმე ინდუსტრიის შემდგომი დაჩქარებული განვითარებისათვის. „კომუნისტურ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს დიდი ლენინის მოძღვრებით ჩვენი ქვეყნის მსხვილი მანქანური მრეწველობისა და ელექტროფიკაციის ყოველი ღონისძიებით განვითარების შესახებ, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, — ისევე როგორც წინათ, თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია შემდგომი აღმავლობა მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც შეადგენს ჩვენი სამშობლოს მთელი სახალხო მეურნეობისა და ურყევი თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძველს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროს".

სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, რომელიც ერთხმად მიღებულ იქნა გუშინ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე, ითვალისწინებს დიდ ასიგნობებს მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის. მრეწველობის ყველა დარგის დაფინანსების საერთო თანხიდან — 189,6 მილიარდი მანეთიდან მეტალურგიული, ქვანახშირის, ნავთობის, ენერგეტიკული, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და მძიმე მრეწველობის სხვა დარგების განვითარებისათვის გამოიყოფა 163,6 მილიარდი მანეთი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით ცალკეულ ამხანაგებს არევდარევა შეექმნათ ჩვენი ქვეყნის მძიმე და მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპის საკითხში. იმოწმებენ რა მათ მიერ არასწორად და ვულგარიზატორულად გაგებულ სოციალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს, ასეთი ვაი-თეორეტიკოსები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სოციალისტური მშენებლობის რომელიღაც ეტაპზე მძიმე მრეწველობის განვითარება თითქოს აღარ არის მთავარი ამოცანა და რომ მსუბუქ მრეწველობას შეუძლია გაუსწროს და კიდევაც უნდა გაუსწროს ინდუსტრიის ყველა სხვა დარგს. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, ეს უაღრესად მცდარი, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო მსჯელობაა. ეს სხვა არა არის რა, თუ არა ცილისწამება პარტიაზე. ეს არის მემარჯვენეოპორტუნისტულ, ლენინიზმისადმი მტრულ შეხედულებათა ნაშთი. ასეთ ანტილენინურ შეხედულებათა პროპაგანდა განსაკუთრებით შეუწყნარებელია თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენი პარტია საბჭოთა ხალხის მთელ ძალღონეს ახმარს კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების გადაწყვეტას, ისეთ პირობებში, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები გააფთრებით ემზადებიან ომისათვის.

ხელმძღვანელობს რა კომუნისტური მშენებლობის გიგანტურ მუშაობას, კომუნისტებისაგან, მთელი ჩვენი კადრებისაგან პარტია მოითხოვს დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, შეისწავლონ ეკონომიური განვითარების კანონზომიერებანი, გამოიჩინონ პრინციპულობა პოლიტიკაში, თანმიმდევრულად და მტკიცედ განახორციელონ გენერალური ხაზი, ულმობლად იბრძოლონ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველგვარი ვულგარიზაციის წინააღმდეგ. საჭიროა ბრძოლა ვაწარმოოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს არევდარევა შეიტანოს თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებში, იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს, რომ ახლა შეიძლება დავკმაყოფილდეთ მძიმე მრეწველობის განვითარების მიღწეული დონით და მთავარ საზრუნავად გავიხადოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის აღმავლობის ამოცანები. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის დარგები, რომლებიც სახალხო მოხმარების საგნებს აწარმოებენ, მით უფრო წარმატებით განვითარდება, რაც უფრო მეტი და მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი მიღწევები მძიმე მრეწველობის განვითარებაში.

ჩვენი პარტია მთელ თავის ძალებს ახმარს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მძიმე ინდუსტრიის აღმავლობის საფუძველზე პარტია განუხრელად იბრძოლებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის. სწორედ ამას მოწმობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, პლენუმისა, რომელმაც დასახა მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის ნედლეულის წარმოების გადიდების ვრცელი პროგრამა. სწორედ ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების ქსელის გაფართოების ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფილია 27,9 მილიარდი მანეთი და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის — 65 მილიარდი 191 მილიონი მანეთი.

საბჭოთა ხალხი, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მთელ ძალღონეს ახმარს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, მტკიცე რწმენით მიდის წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების გზით. მზარდი სოციალისტური ინდუსტრია იყო, არის და იქნება საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების, მისი თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების საფუძველი, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის წყარო.

„პრავდის" 8.II მოწინავე.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

# დეპუტატ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უხუცესთა საბჭოს დავალებით წინადადება შემომაქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხანაგი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს ყველანი ვიცნობთ, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილს, რომელიც მთელ თავის ძალღონეს საბჭოთა ხალხის სამსახურს ახმარს. დიდი ლენინის ღირსეული მოწაფე და ლენინის საქმის განმგრძობის — ი. ბ. სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ბულგანინი გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეა. (**ხანგრძლივი ტაში**).

მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის, რუსეთის ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, დიდ სამხედრო სამუშაოზე დიდი სამამულო ომის პერიოდში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე, ხოლო უკანასკნელ წლებში — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის პოსტზე ამხანაგმა ბულგანინმა თავი გამოიჩინა როგორც დიდმა და ნიჭიერმა ორგანიზატორმა. მას აქვს პოლიტიკური, სახელმწიფო, სამეურნეო და სამხედრო მოღვაწეობის დიდი გამოცდილება. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ამხანაგი ბულგანინი წარმატებით გაართმევს თავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის მეთაურობით წარმატებით გადაწყვეტს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანებს, უზრუნველყოფს მძიმე მრეწველობის განვითარებას და მის საფუძველზე მიაღწევს მსუბუქი, კვების მრეწველობის ახალ აღმავლობას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებას.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ წინადადებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხანაგ ბულგანინის დანიშვნის შესახებ ერთსულოვნად დაუჭერს მხარს და მოიწონებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატი. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

# დადგენილება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### ამხ. ნ. ა. ბულგანინის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 8 თებერვალი.

* * *

8 თებერვალს, დღის პირველ საათზე, კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

მთავრობის ლოჟებში არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები. ესწრება მრავალი სტუმარი. დიპლომატიური კორპუსის, საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟები სავსეა.

კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. პ. ვოლკოვი** აცხადებს, რომ გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის განცხადება, რომლითაც იგი თხოულობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან განთავისუფლებას. დეპუტატი ა. პ. ვოლკოვი აქვეყნებს განცხადების ტექსტს.

**კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარეს**

გთხოვთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს აცნობოთ ჩემი თხოვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან განთავისუფლების შესახებ.

ჩემი თხოვნა გამოწვეულია საქმიანი მოსაზრებებით, რომ საჭიროა განმტკიცდეს მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა და მიზანშეწონილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე იყოს სხვა ამხანაგი, რომელსაც სახელმწიფოებრივი მუშაობის მეტი გამოცდილება აქვს. მე ნათლად ვხედავ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რთული და პასუხსაგები მოვალეობის შესრულებაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის, რომ არა მაქვს ადგილობრივი მუშაობის საკმაო გამოცდილება და ის, რომ მე არ მქონია შემთხვევა სამინისტროში ან რომელიმე სამეურნეო ორგანოში ვყოფილიყავი სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების უშუალო მმართველი.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აგრეთვე ამ განცხადებაში ვთქვა, რომ ახლა, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩვენი ქვეყნის მშრომელები განსაკუთრებულ ღონისძიებებს ახორციელებენ სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღმავლობისათვის, მე განსაკუთრებით ნათლად ვხედავ ჩემს დანაშაულს და პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობაში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისათვის, რადგან აქამდე მთელი რიგი წლების მანძილზე მევალებოდა კონტროლი და ხელმძღვანელობა გამეწია ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობისა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობისათვის სოფლის მეურნეობის დარგში. კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით უკვე შეიმუშავა და ახორციელებს მთელ რიგ დიდ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დასაძლევად. ასეთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს უეჭველად ეკუთვნის რეფორმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, რომელზეც მინდა აქვე ვთქვა, რომ იგი განხორციელდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივითა და წინადადებით და ამჟამად ჩანს, თუ რა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ რეფორმამ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ახლა, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შემუშავებულია სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევისა და მისი უსწრაფესი განვითარების გენერალური პროგრამა. ეს პროგრამა ემყარება ერთადერთ სწორ საფუძველს — მძიმე ინდუსტრიის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას და მხოლოდ მისი განხორციელება ქმნის აუცილებელ პირობებს სახალხო მოხმარების ყველა საჭირო საქონლის წარმოების ნამდვილი აღმავლობისათვის.

შეიძლება მოველოდეთ, რომ სხვადასხვა ბურჟუაზიული მოლაყბენი ცილისმწამებლური ჭორების შეთხზვას დაიწყებენ ჩემს ამ განცხადებასა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან ჩემი განთავისუფლების თვით ფაქტთან დაკავშირებით. მაგრამ ჩვენ, კომუნისტები და საბჭოთა ადამიანები, ყურადღებას არ მივაქცევთ ამ სიცრუესა და ცილისწამებას. ყოველი ჩვენგანისათვის ყველაფერზე მაღლა დგას სამშობლოს, ხალხის, კომუნისტური პარტიის ინტერესები.

გთხოვთ რა გამათავისუფლოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან, მსურს პირობა მივცე სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, რომ ჩემთვის მონდობილ ახალ უბანზე მე, თავისი ერთიანობითა და დარაზმულობით მონოლითური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, უაღრესი კეთილსინდისიერებით შევასრულებ ჩემს ვალსა და იმ მოვალეობას, რაც დამეკისრება.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. მალენკოვი.**

1955 წლის 8 თებერვალი.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ა. მ. პუზანოვს. იგი ამბობს, რომ ამხ. მალენკოვის განცხადებაში მოყვანილი მოტივები მას მიაჩნია სავსებით სწორად და წინადადება შეაქვს მიღებულ იქნას ამხ. მალენკოვის განცხადება და განთავისუფლებულ იქნას იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს: მიღებულ იქნას ამხ. გ. მ. მალენკოვის განცხადება და განთავისუფლებულ იქნას იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ამის შემდეგ ცხადდება შესვენება დღის 4 საათამდე. (საკდესი).

# დადგენილება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### ამხ. გ. მ. მალენკოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მიღებულ იქნას ამხ. გ. მ. მალენკოვის განცხადება და განთავისუფლდეს იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 8 თებერვალი.

* * *

ნაშუადღევის 4 საათზე განახლდა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. პ. ვოლკოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატურის საკითხის შესახებ სიტყვას აძლევს დეპუტატ **ნ. ს. ხრუშჩოვს.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უხუცესთა საბჭოს დავალებით ამხ. ხრუშჩოვს წინადადება შეაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხანაგი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბულგანინი.**

უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს დადგენილებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ნ. ა. ბულგანინის დანიშვნის შესახებ.

სესია გადადის შემდეგი საკითხის — საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხის განხილვაზე. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დეპუტატმა **ვ. მ. მოლოტოვმა**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ამხ. მოლოტოვის მოხსენება დეპუტატებმა და მრავალმა სტუმარმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

დღეს, 9 თებერვალს, დილის 10 საათზე, კრემლის დიდ სასახლეში გაიმართება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. (საკდესი).

# კავშირის საბჭოში

7 თებერვალს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის ცალცალკე სხდომები. გრძელდებოდა განხილვა საკითხისა სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დილის 10 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოს სხდომა. პირველი გამოდის დეპუტატი **ა. დ. დანიალოვი** (დაღესტნის ასსრ). მას მოჰყავს მონაცემები რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის შედეგების შესახებ, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა გასული წლის გეგმა. გამოშვებულია 17 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1953 წელს. ცალკეულმა საწარმოებმა უკვე შეასრულეს ხუთწლედის დავალება. ორატორი ამავე დროს აღნიშნავს, რომ სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროები სრულად არ იყენებენ რესპუბლიკის ხელსაყრელ შესაძლებლობებს წარმოების გასაფართოებლად. გასულ წელს ბევრი ხილი და ბოსტნეული არ გადაუმუშავებიათ ტრანსპორტის, ტარის ნაკლებობისა და საწარმოთა მცირე სიმძლავრის გამო.

დეპუტატმა **გ. მ. ორლოვმა** თავის სიტყვაში აღნიშნა სამართლიანობა იმისა, რომ მთელმა რიგმა დეპუტატებმა გააკრიტიკეს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო, და განაცხადა, რომ სამინისტრო ყოველ ღონისძიებას იხმარს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მან ილაპარაკა უკანასკნელ ხანს განხორციელებულ სამუშაოებზე, რომელთა მიზანია ხე-ტყის დამზადების მოცულობის გადიდება, მისი შემდგომი მექანიზაცია, შრომის ნაყოფიერების გადიდება მრეწველობის ამ დარგში.

დეპუტატმა **ს. კ. ტოკამ** ილაპარაკა ტუვის ავტონომიური ოლქის წარმატებებზე. ტუვის არატები დიდხანს ეწეოდნენ მომთაბარულ ცხოვრებას, განიცდიდნენ დიდ გაჭირვებას. მშრომელი არატები, რომლებიც კოლმეურნეობებში გაერთიანდნენ, წლითიწლობით სულ უფრო დიდ წარმატებებს აღწევენ სამეურნეო მშენებლობაში. შარშან ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების გეგმა, ვადამდე შეასრულეს პურის ჩაბარების, მატყლის, ხორცის, ტყავნედლეულის დამზადების დავალებები. ტუვაში განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლება, ყოველ წელს იზრდება ადგილობრივი მოსახლეობის სპეციალისტთა რიცხვი. ბევრი არატის შვილი გახდა მასწავლებელი, აგრონომი, ექიმი.

დეპუტატმა **პ. ფ. ლომაკომ** თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ფერადი მეტალურგიის განვითარების პრობლემებს მიუძღვნა.

მრეწველობის ამ დარგის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ამბობს ორატორი, ტექნიკის უახლესი მიღწევების — მაღალი წარმადობის მოწყობილობის, შრომატევად და მძიმე სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის უფრო ფართოდ დანერგვა, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელება.

დეპუტატმა ლომაკომ დასასრულ ილაპარაკა სამთოგამამდიდრებელი მანქანათმშენებლობის განვითარების გადაუდებელ საკითხებზე.

დეპუტატი **კ. კ. ნიკოლაევი** შეეხო საქალაქო მშენებლობისა და კეთილმოწყობის საკითხებს სვერდლოვსკის ოლქში. მან აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც სვერდლოვსკში იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი და ნ. ს. ხრუშჩოვი, არქიტექტორთა და მშენებელთა მთელი საზოგადოებრიობა ჩაება მშენებლობის ზედმეტობასთან აქტიურ ბრძოლაში, ახლა გაჩაღებულია მუშაობა ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციათა საწარმოების ასაგებად. რკინაბეტონის ნაწარმის გამოშვება 1954 წლის 37.5 ათასი კუბური მეტრიდან დიდდება 103 ათას კუბურ მეტრამდე 1955 წელს.

დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნა სვერდლოვსკის თბოფიკაციისა და გაზიფიკაციის მნიშვნელობა მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესების საქმეში და სათბობის ეკონომიაში, ილაპარაკა იმაზე, რომ გაჭიანურებულია თბოელექტროცენტრალის დაპროექტება, და გააკრიტიკა რუსეთის სფსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, რომელიც ნელა წყვეტს ამ ოლქის ქალაქებში წყალსადენის გაფართოების საკითხს.

დეპუტატმა **ს. მ. ტიხომიროვმა** ილაპარაკა ქიმიური მრეწველობის მუშაობაზე, რომელსაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მძიმე ინდუსტრიაში. 1954 წელს 1950 წელთან შედარებით ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 74 პროცენტით გადიდდა. მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა ლისიჩანსკის აზოტ-ტუკის კომბინატი, ჯამბულის სუპერფოსფატის, სტერლიტამაკის სოდის ქარხნები, ბერეზნიკოვის კალიუმის კომბინატი, კადიევკის მურის ქარხანა, სინთეზური სპირტისა და კაუჩუკის ქარხანა და ბევრი სხვა საწარმო.

ამასთან ერთად, ამბობს ორატორი, სამინისტროს მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, კერძოდ, უფრო სრულყოფილი ტექნიკის დამუშავებისა და დანერგვის საქმეში. დიდი ნაკლია აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობა მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე.

დეპუტატი **ვ. ა. ამბარცუმიანი** (სომხეთის სსრ) ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საჭიროა ამაღლდეს მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო მუშაობის დონე. იგი აყენებს საკითხს, რომ შეტანილ იქნას ზოგიერთი ცვლილება მეცნიერ მუშაკთა შრომის ანაზღაურების სისტემაში, რომ უფრო სრულად უზრუნველვყოთ ლაბორატორიები საჭირო მოწყობილობით.

ჩვენი სამშობლოს მეცნიერები, აცხადებს ორატორი, დიდი აღფრთოვანებით განაგრძობენ მუშაობას საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, მიზნად ისახავენ მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, დიადი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ ზრდას. საბჭოთა მეცნიერები იმაღლებენ ხმას იმისათვის, რომ მშვიდობიანი მიზნით იქნას გამოყენებული თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა, მათ შორის ატომის ენერგია. ახალ ტექნიკას აურაცხელი შესაძლებლობა აქვს მსოფლიოს ყველა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

დასასრულ ორატორი წინადადებას იძლევა დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის შესწორებებით.

დეპუტატ ამბარცუმიანის სიტყვის შემდეგ პალატა გადაწყვეტილებას იღებს შეწყდეს კამათი. საბოლოო სიტყვას ამბობს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი დეპუტატი **ა. გ. ზვერევი.** ამხ. ზვერევმა მხარი დაუჭირა იმ შესწორებებს, რომლებიც საბიუჯეტო კომისიამ გააკეთა, და შემდეგ შეეხო დეპუტატთა წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს. სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, განაცხადა მან, უნდა აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი. თავის მხრივ ფინანსთა სამინისტრო მიიღებს ღონისძიებებს საფინანსო ორგანოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავლის ნაწილში 590.192.622 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 563.482.491 ათასი მანეთის ოდენობით ისე, რომ შემოსავალი აღემატება გასავალს 26.710.131 ათასი მანეთის ოდენობით. კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს ანგარიშს სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და იღებს კანონს სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

შემდეგ პალატა გადადის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების საკითხის განხილვაზე. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ნ. მ. პეგოვმა. პალატა ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს, რომლებიც მიღებულია პირველ და მეორე სესიებს შორის განვლილ პერიოდში.

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს სხდომა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

# საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება

### I. ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში

ამხანაგო დეპუტატებო!

ათმა წელმა განვლო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ნათლად გამოირკვა მომხდარი ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში, თუ ახლანდელ მდგომარეობას შევადარებთ იმას, რაც ომამდე იყო.

მეორე მსოფლიო ომამდე საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც კაპიტალისტური გარემოცვის რკალში იმყოფებოდა. მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საქმე სწორედ ასე იყო.

ომის შემდეგ მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, ძირეულად შეიცვალა.

ახლა უკვე არ შეიძლება ლაპარაკი სსრ კავშირზე და კაპიტალისტურ გარემოცვაზე იმ აზრით, როგორც ომამდე ლაპარაკობდნენ. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ არ შეგვენიშნა ანდა, ყოველ შემთხვევაში, სათანადოდ არ შეგვეფასებინა მთელ საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ცვლილებანი. მოხდა კი არა მარტო რაოდენობრივი, არამედ აგრეთვე თვისებრივი ცვლილებები.

პირველი მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანესი შედეგი, როგორც ცნობილია, იყო რუსეთის რევოლუციური გარდაქმნა საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოდ. პირველ და მეორე მსოფლიო ომს შორის განვლილ პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი წარმატებანი მოიპოვა თავისი სოციალისტური ეკონომიკის ზრდაში, სოციალისტური კულტურის განვითარებაში. უკვე ომისწინა პერიოდში სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სსრ კავშირი გამოვიდა საერთაშორისო იზოლაციიდან.

მეორე მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ის, რომ მსოფლიო კაპიტალისტური ბანაკის გვერდით შეიქმნა სოციალიზმისა და დემოკრატიის მსოფლიო ბანაკი სსრ კავშირის მეთაურობით, ხოლო უფრო სწორი იქნება ვთქვათ, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთაურობით. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ახალი ბანაკის შექმნა შესაძლებელი გახდა ფაშიზმის განადგურების, კაპიტალიზმის მსოფლიო პოზიციების შესუსტებისა და დემოკრატიული მოძრაობის ჯერ კიდევ უმაგალითო აღმავლობის შედეგად. ცნობილია, რომ გადამწყვეტი როლი ამ საერთაშორისო ამბებში შეასრულეს ჩვენმა ქვეყანამ, საბჭოთა ხალხმა და მისმა გმირმა არმიამ. (ტაში).

ჩვენს დროში საბჭოთა კავშირი უკვე იმ საერთაშორისო ვითარებაში როდი იმყოფება, რომელიც ომამდე არსებობდა. ახლა სსრ კავშირი უკვე ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო როდია მსოფლიოში. სსრ კავშირის საერთაშორისო იზოლაცია წარსულს ჩაბარდა.

კაპიტალისტური ბანაკის გვერდით შეიქმნა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი, რომელიც აერთიანებს შემდეგ სახელმწიფოებს: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოები, რომლებიც მე ჩამოვთვალე, იმყოფებიან თავიანთი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, თავიანთ სოციალურ გარდაქმნათა სხვადასხვა საფეხურზე. საბჭოთა კავშირთან ერთად, სადაც უკვე აშენებულია სოციალისტური საზოგადოების საფუძვლები, არიან აგრეთვე ისეთი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები, რომლებმაც გადადგეს მხოლოდ პირველი, მაგრამ მეტად დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები სოციალიზმის მიმართულებით.

მაგრამ დემოკრატიული ბანაკის ყველა ქვეყნისათვის გადამწყვეტია ის ფაქტი, რომ მათ საბოლოოდ დააღწიეს თავი იმპერიალისტურ სისტემას, სადაც ძალაუფლება მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელშია. მათ თავისთვის აირჩიეს ახალი გზა და წარმატებით ახორციელებენ თავიანთ ღრმა დემოკრატიულ და სოციალისტურ გარდაქმნებს, ისწრაფვიან რა უზრუნველყონ მშვიდობა და უშიშროება მთელი ამ ახალი, დიდი მშენებლობისათვის.

ეს შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ აქ მუშებმა და გლეხებმა ყველა მშრომელთან და დემოკრატიულ ძალებთან ერთად შექმნეს მტკიცე, პოლიტიკური კავშირი მუშათა კლასის საერთო ხელმძღვანელობით. მუშათა და გლეხთა სწორედ ამ რევოლუციურმა კავშირმა, რომელმაც გააერთიანა ყველა მშრომელი, შესაძლებელი გახადა მემამულური მეურნეობის ლიკვიდაცია და გლეხების ხელში მიწის გადასვლა, აგრეთვე უზრუნველყო, რომ ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზები, ბანკები გადასულიყო ახალი ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლების ხელში.

კაპიტალიზმის ბორკილი ახლა გაწყვეტილია არა ერთ ადგილას, არამედ დიდ ფრონტზე. ჩვენი ქვეყნის შემდეგ, რომელმაც თავისი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია 1917 წელს მოახდინა, კაპიტალიზმი მეორე მსოფლიო ომის შედეგად დამარცხდა აგრეთვე მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებში.

ახალი, სახალხო-დემოკრატიული ტიპის ქვეყნების წარმატებანი, რომლებიც უზრუნველყოფილია კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხთა ღონისძიებებით, ემყარება როგორც საბჭოთა არმიის გამარჯვებას ფაშისტ აგრესორებზე, ისე იმას, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის მხარს უჭერს მათ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ გარდაქმნებში, რომლებსაც ისინი სოციალიზმის მიმართულებით ახორციელებენ. ახლა კი სსრ კავშირის მთელი მნიშვნელობისა და განსაკუთრებული როლის დროს, სსრ კავშირისა, რომლის ძლიერების საფუძველია მძიმე ინდუსტრიის მაღალი დონე და, ამასთანავე, მთელი მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა, სოციალისტური ბანაკის ქვეყნები სულ უფრო ემყარებიან აგრეთვე ურთიერთ მხარდაჭერას.

სავსებით ბუნებრივია, რომ მსოფლიო ვითარებაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით საზოგადოებრივ სისტემებს შორის ძალთა თანაფარდობა, განსაკუთრებით უკანასკნელ ათ წელიწადში, გარკვეულად შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ.

განა ახლანდელი ევროპა ომამდელ ევროპას ჰგავს?

განა შეიძლება კაცმა გვერდი აუაროს იმ უდიდეს ცვლილებებს, რომლებიც აქ უკანასკნელი მსოფლიო ომის შედეგად მოხდა? და განა ნათელი არ არის იმათთვის, ვისაც შეუძლია ობიექტურად და მიუკერძოებლად იმსჯელოს, რომ საბჭოთა კავშირთან ერთად მთელი რიგი სხვა სახელმწიფოებიც გადაჭრით გადავიდნენ კაპიტალისტური გზიდან სოციალისტური აღმავლობისა და აღორძინების გზაზე და რომ არც ერთი ეს ქვეყანა არ მოისურვებს წავიდეს უკან, დაუბრუნდეს კაპიტალიზმს? ხოლო თუ კონკრეტულ მონაცემებში გავერკვევით, აღმოჩნდება, რომ ევროპის მთელი, დაახლოებით 600 მილიონი მოსახლეობიდან, ამ მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი, 300 მილიონზე ცოტა ნაკლები, უკვე მტკიცედ შევიდა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკში.

მაშასადამე, ახლა ჩვენს წინაშეა უკვე სრულიადაც არა ომამდელი ევროპა.

ახლანდელ, ახალ ევროპაში სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს უკვე ნაკლებად ძლიერი პოზიციები როდი უკავიათ, ვიდრე კაპიტალისტური ბანაკის ქვეყნებს. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, თავიანთ მშენებლობაში თუმცა დიდი სიძნელეებით და სერიოზული ნაკლოვანებებით, მაგრამ მაინც მტკიცედ მიდიან წინ, განუხრელად განამტკიცებენ ახალ დემოკრატიულ წყობილებას, ახალ უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავთ თავიანთი ხალხების კულტურა და კეთილდღეობა.

ახალი ვითარება შეიქმნა აზიაშიც.

აზიის მოსახლეობა დაახლოებით 1 მილიარდ 400 მილიონ კაცს აღწევს, რაც შეადგენს მთელი დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტს. ახლა აზიაშიც ნახევარზე ცოტა ნაკლები მოსახლეობა ცხოვრობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებმაც თავი დააღწიეს კაპიტალიზმის ბანაკს და მიზნად დაისახეს სოციალიზმის მშენებლობა.

საკმარისია ითქვას, რომ იგივე ჩინეთი, რომელიც სულ ამ ცოტა ხნის წინათ ნახევრადკოლონიური ქვეყანა იყო, რომელიც მძიმე დამოკიდებულებაში ჰყავდათ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და რომელსაც არ ჰქონდა შესაძლებლობა უზრუნველეყო თავისი სახელმწიფო ტერიტორიის ერთიანობა, — ახლა გაერთიანდა ერთიან დიდ სახელმწიფოდ, რომელიც დაადგა თავისი ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის ყოველმხრივი აღმავლობის გზას. და შესანიშნავია ის, რომ ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა კომუნისტური პარტია. (ტაში). ტყუილად როდია ნათქვამი ჩინელი ხალხის ახლანდელ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სიმღერაში:

„კომუნისტებმა გაგვიხსნეს გამარჯვებათა გზა.
უკომუნისტებოდ არ არის ჩინეთიც". (ტაში).

განა ეს ფაქტები და კორეასა და ვიეტნამში დაწყებული ღრმა გარდაქმნები არ მოწმობენ, თუ რა ძირეული ცვლილებები მოხდა აზიაში? განა ყოველივე ეს არ მოწმობს იმას, რომ აზიაში ომისშემდგომ პერიოდში მოხდა რევოლუციური გარდაქმნები, რომლებსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ?

მაგრამ აზიაში მომხდარი ცვლილებები სრულიადაც არ შემოიფარგლება უკვე მოხსენიებული ქვეყნებით.

დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ აღარ არის კოლონიური ინდოეთი, არამედ არსებობს ინდოეთის რესპუბლიკა. ეს არის დიდმნიშვნელოვანი მობრუნება ამბებში, რომლებიც ახასიათებენ ომისშემდგომ განვითარებას აზიაში. სულ უფრო მაღლდება ინდოეთის, როგორც ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში ახალი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის საერთაშორისო ავტორიტეტი.

ინდოეთთან ერთად კოლონიური რეჟიმი მოიშორა ინდონეზიამ, აგრეთვე ბირმამ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პაკისტანიც, ცეილონიც და აზიის სხვა ხალხებიც იპოვნიან ნამდვილი ეროვნული თავისუფლებისა და ეკონომიური აღორძინების გზას. (ტაში).

აპრილში, ესე იგი ორი თვის შემდეგ, ქალაქ ბანდუნგში (ინდონეზია) უნდა შეიკრიბოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია, რომელშიც გათვალისწინებულია აზიისა და აფრიკის 30-მდე ქვეყნის მონაწილეობა. ასეთი კონფერენციის მოწვევის თვით ფაქტი იმას მოწმობს, თუ რაოდენ დიდია ის დადებითი ცვლილებანი, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში მოხდა აზიაში.

ცოტა ცვლილება როდი მოხდა აგრეთვე ახლო და შუა აღმოსავლეთში.

არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მაგალითად, არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უკვე მოიპოვა ის ძალა და გაქანება, რომელიც აზიის მთელ რიგ სახელმწიფოებშია. იქ არსებული სახელმწიფოები, განსაკუთრებით სახელმწიფოები, რომლებსაც ნავთობის დიდი სიმდიდრე აქვთ წიაღში, ჯერ კიდევ მძიმე დამოკიდებულებაში იმყოფებიან ეგრეთწოდებულ „დასავლეთის" ქვეყნებზე, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ადგილობრივი ნავთობისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრე. ისეც ხდება ხოლმე, რომ ამ ადგილებში მთავრობათა შექმნა და გამოცვლა წარმოებს მხოლოდ ამერიკის ან ინგლისის ნავთობისა და უცხოეთის სხვა კაპიტალისტური კომპანიების სურვილით. მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იქაც განუხრელად იზრდება.

აფრიკის ხალხთა უმრავლესობა ჯერ კიდევ კოლონიური ჩაგვრის პირობებში იმყოფება. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა მალე უკვე შეუძლებელი იქნება დაუსჯელად, როგორც ამას ჯერ კიდევ სჩადიან იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს აფრიკის ტერიტორიები.

შეუძლიათ თქვან, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა ჯერ კიდევ განზე უდგანან დიდ ისტორიულ გზას, რომლითაც წარმატებით მიდიან წინ ევროპისა და აზიის ხალხები. მაგრამ „რკინის ფარდა", რომლითაც ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმს სურს განაცალკევოს ამერიკა დედამიწის სხვა ნაწილებისაგან, სრულიადაც ისე მკვიდრი არ არის, როგორც ეს ეჩვენებათ. ამაოა იმ კაპიტალისტური მონოპოლიების „რკინის ქუსლის" იმედიც, რომელთა მჩაგვრელურ ბატონობაზე უკვე ნახევარი საუკუნის წინათ ესოდენ მხატვრულად და ასეთი მწარე გრძნობით წერდა შესანიშნავი ამერიკელი მწერალი ჯეკ ლონდონი, რომელიც წინასწარ გრძნობდა, თუ რა უდიდესი სიძნელეებით შეძლებენ ამერიკის ხალხები წინსვლას ნამდვილი პროგრესისა და კაპიტალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლების გზით.

ყოველ შემთხვევაში, თუ ვილაპარაკებთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდზე, ჯერჯერობით ყველაზე ნაკლებად შესამჩნევია სწორედ ის ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ამერიკის კონტინენტზე, თუმცა აქაც ყოველდღე სულ უფრო იჩენს თავს იმ მზარდ პროგრესულ მიმდინარეობათა მნიშვნელობა, რომლებიც ხალხთა ცხოვრების სიღრმეში თანდათანობით იზრდება. ასეთი მდგომარეობა იმას როდი მოწმობს, რომ მტკიცე იყოს ამერიკის „რკინის ფარდა" და რომ მაინცდამაინც საიმედო იყოს „რკინის ქუსლი", რომლითაც კაპიტალისტური მონოპოლიები დასწოლიან მუშებს, აგრეთვე გლეხებსაც, არამედ მოწმობს იმას, რომ ამერიკამ უნდა დაძლიოს არსებული ჩამორჩენა თავის პოლიტიკურ განვითარებაში და რომ იგი ჯერ კიდევ უნდა დაეწიოს ზოგიერთი სხვა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას.

ვადარებთ რა მთლიანად ახლანდელ საერთაშორისო ვითარებასა და ომამდელ ვითარებას, ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდმნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა უკანასკნელ 10-15 წელიწადში. ეს ცვლილებები ჩვენთვის როდია დასანანებელი.

ამრიგად, მთელი თანამედროვე საერთაშორისო ვითარების შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ძირითადი მსოფლიო ძალების რა თანაფარდობა შეიქმნა ახლა. ამასთან არც უნდა გავაზვიადოთ, არც უნდა შევამციროთ ის, რაც მოხდა, აგრეთვე ის, თუ რა მიმართულებით ვითარდება მოვლენები. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავივიწყოთ აგრეთვე ის, რომ საქმე ეხება დიდ ისტორიულ პერიოდს, რომლიდანაც დღემდე მხოლოდ 37 წელიწადზე ცოტა მეტი ხანი გავიდა.

განა შეიძლება უარვყოთ, რომ ომამდელ დროსთან შედარებით სერიოზულად შესუსტდა კაპიტალიზმი, კაპიტალისტური კლასების პოზიციები? არა, არ შეიძლება. ასევე ცხადია ისიც, რომ ეს ცვლილებანი მოხდა სოციალიზმის სასარგებლოდ, დემოკრატიული და სოციალისტური ძალების სასარგებლოდ. (ტაში).

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მოხდა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავება. ეს იმით გამოიხატა, რომ მსოფლიო კაპიტალისტური ბანაკის გვერდით შეიქმნა მეორე, ახალი მსოფლიო ბანაკი. წარმოიშვა დემოკრატიული ბანაკი, რომელიც სსრ კავშირის მეთაურობით ადგას სოციალიზმის მშენებლობის გზას. მოსწონს ეს ვინმეს, თუ არ მოსწონს, ფაქტები ასეთია.

აღნიშნული ძირითადი მოვლენების ეკონომიური შედეგია ერთიანი, ყოვლისმომცველი მსოფლიო ბაზრის დაშლა. როგორც ცნობილია, ეს ერთიანი მსოფლიო ბაზარი აღარ არსებობს. ახლა არსებობს ორი პარალელური მსოფლიო ბაზარი, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდება.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ ორ პოლიტიკურ ბანაკს თავისი შესაბამისი ეკონომიური საფუძველიც აქვს. ყოველივე ეს წარმოდგენას იძლევა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის იმ ახალ ეტაპზე, რომელიც დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დროიდან და ამ ომის შედეგად. ეს ახალი ეტაპი მოწმობს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის სერიოზულ გაღრმავებას.

თითქოს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს მსოფლიო ვითარებაში მომხდარ ისტორიულ ცვლილებათა ფაქტებს. მაგრამ, სინამდვილეში, ყოველთვის ასე როდი ხდება.

კაპიტალიზმი იძულებული გახდა უკან დაეხია იმ ხალხთა მასების შეტევის გამო, რომლებმაც მთელ რიგ სახელმწიფოებში დაამხეს მემამულეები და კაპიტალისტები და ხელისუფლების საჭე ჩააბარეს თავიანთ ადამიანებს — მუშათა კლასისა და გლეხობის, ქალაქისა და სოფლის დემოკრატიის წარმომადგენლებს. მაგრამ იმპერიალიზმის ქვეყნების გაბატონებულ კლასებს არა სურთ შეურიგდნენ შექმნილ მდგომარეობას. პირველ რიგში ეს ეხებათ ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც სახელმწიფო იქ გაბატონებულ მილიონერთა და მილიარდერთა ხელშია. რა თქმა უნდა, ინგლისსა და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებშიც კაპიტალის მაგნატებს იგივე ასულდგმულებთ, რაც ამერიკაში.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რა სურთ მათ.

მათ სურთ უკან, კაპიტალის ბატონობას დაუბრუნონ ყველა ქვეყანა, რომლებმაც თავი დააღწიეს კაპიტალიზმის ბორკილს. ამას ადასტურებს ის საგარეო პოლიტიკაც, რომელსაც ახლა ახორციელებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები და, კერძოდ, ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და სხვები.

ძნელი არ არის დავრწმუნდეთ, რომ, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები თავიანთი საგარეოპოლიტიკური კურსის მთავარ მიზნებად აშკარად აცხადებენ, არც მეტი, არც ნაკლები, იმ ქვეყნების ეგრეთწოდებულ „განთავისუფლებას", სადაც გაიმარჯვეს მუშებმა და გლეხებმა, სადაც ხელისუფლებას სათავეში თვითონ მშრომელები ჩაუდგნენ. ისინი იმასაც კი აცხადებენ, რომ ასეთი, უკაცრავად პასუხია „განთავისუფლება" იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ეს ქვეყნები დაბრუნებულიყვნენ „კაპიტალისტურ სამოთხეშიც" კი, ანუ, როგორც ისინი ჩვეულებრივ ამბობენ, „თავისუფალ სამყაროში". ხოლო ასეთ „თავისუფალ სამყაროდ" მათ მიაჩნიათ კაპიტალისტური სისტემა, სადაც ასე „თავისუფლად" გრძნობენ თავს ბატონი ექსპლოატატორები და სადაც გაბატონებულ კლასებს შეუძლიათ „თავისუფლად" და პირდაპირ „შეუზღუდავად" გაუწიონ ექსპლოატაცია მშრომელებს.

მათ სურთ „გაათავისუფლონ" სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები სახელმწიფო ხელისუფლებისაგან, რომელიც შექმნა მუშებისა და გლეხების რევოლუციურმა კავშირმა, და იქ დასვან ისინი, ვინც მათთვის სასურველია, ესე იგი დაამხონ აქ ომის შემდეგ დამყარებული ახალი, სოციალისტური და დემოკრატიული წყობილება და კვლავ თავს მოახვიონ მათ თავიანთი ესოდენ სასურველი კაპიტალიზმის რეჟიმი, მშრომელთა ექსპლოატაციის რეჟიმი, კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის რეჟიმი.

მათ სურთ ეს დაიწყონ იმ ქვეყნებით, სადაც, როგორც მათ ჰგონიათ, მათს აგენტურას შეუძლია უფრო ადრე გააქტიურდეს. ასეთი ცდა, როგორც ცნობილია, იყო, მაგალითად, 1953 წლის 17 ივნისს ბერლინში. მაგრამ ყველამ იცის, რომ იგი სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ეს შეიძლებოდა გაკვეთილი გამხდარიყო იმპერიალიზმის აგრესიული წრეებისათვის, მაგრამ ასეთი ავანტიურების პროპაგანდა არ წყდება.

აგრესიული იმპერიალისტური წრეების მადა და მათი შავბნელი რეაქციული ოცნება როდი განისაზღვრება მარტო სახალხო დემოკრატიის ქვეყნებით. მათ სურთ ჩვენი ქვეყანაც დააბრუნონ უკან, კაპიტალიზმისაკენ.

ამის შესახებ აშკარად ისინი ხშირად როდი ლაპარაკობენ, მაგრამ მაინც ლაპარაკობენ.

მოისმინეთ სადამდე მიდის, მაგალითად, ბ-ნი ჩერჩილი, რომელიც სამართლიანად ითვლება ახლა იმპერიალიზმის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო იდეოლოგად. იგი დღემდე კვლავ და კვლავ იმეორებს ერთ აკვიატებულ აზრს, რომელსაც ვერ იშორებს, მისი სიტყვით, „მთელ თავის სიცოცხლეში", სახელდობრ, აზრს „ბოლშევიზმის ჩანასახშივე ჩახრჩობის" შესახებ. (გამოცოცხლება დარბაზში).

აი ერთ-ერთი მისი განცხადება ამ თემაზე, რომელიც მან 1954 წლის 28 ივნისს გააკეთა „პრესის ეროვნულ კლუბში", ვაშინგტონში: „გარწმუნებთ, რომ მთელ ჩემს სიცოცხლეში მართლაც ერთ-ერთი იმ თვალსაჩინო ადამიანთაგანი ვიყავი, ვინც ბრძოლას ეწეოდა ამასთან (კომუნიზმთან). ჩემთვის რომ სათანადოდ დაეჭირათ მხარი 1919 წელს, მაშინ, მგონია, შევძლებდით ჩაგვეხრჩო კომუნიზმი მის აკვანში. მაგრამ ყველამ აიღო ხელი და თქვა: „რა საშინელებაა".

1954 წელსაც კი, ესე იგი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ამდენი წლის შემდეგ, ჩერჩილს იმაზე უფრო გონივრული ვერაფერი მოუძებნია, რომ ილაპარაკოს კომუნიზმის ჩახრჩობაზე „მის აკვანში", თუმცა, თითქოს, მან უკვე ცოტა დაიგვიანა. (სიცილი, ტაში).

აი სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ხალხი ბაზრიდან მოდის, ნაზარი კი ბაზარში მიეშურება". (სიცილი, ტაში).

ახლა ჩვენ კიდევაც გავიცინებთ ამგვარი ანტიბოლშევიკური მსჯელობის უბადრუკობაზე. მაგრამ ჩვენ გულუბრყვილონი ვერ ვიქნებით: კომუნისტებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, იმპერიალისტთა მხრივ სიყვარულისა და თანაგრძნობის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

ჩერჩილის სიტყვები გამსჭვალულია წარსულ დროებაზე ნაღვლით. მისთვის უცხოა ახალი და იგი შეურიგებლად მტრულად არის განწყობილი ყოველივე ახლისადმი, რაც დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დროიდან და რაც გადაიქცა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ნამდვილი განთავისუფლებისათვის, ბურჟუაზიულ-მემამულური უღლისაგან განთავისუფლებისათვის ხალხთა დიად მოძრაობად. (ტაში).

აი უკვე 38-ე წელიწადია, რაც ჩერჩილი მოუწოდებს დაამხონ სოციალისტური წყობილება, სადაც უნდა გაჩნდეს იგი ამ ქვეყნად, გაჰკივის, რომ საჭიროა „ჩახრჩობილ იქნას" ეს ახალი წყობილება „მის აკვანში". იგი გამოხატავს ყველა იმპერიალისტის სანუკვარ ფიქრს, რომლებსაც სურთ ერთი რამ — სრული, ესე იგი მსოფლიო ბატონობა.

მაგრამ როგორ შეიძლება ამის გაკეთება, თუ თვით ხალხებმა უკვე აირჩიეს თავისთვის სხვა გზა და, გადაჭრით გაწყვიტეს რა კავშირი კაპიტალიზმთან, დაადგნენ სოციალიზმისა და სახალხო დემოკრატიის გზას.

ამ კითხვის პასუხია ამერიკის, ისევე როგორც ინგლისის იმპერიალიზმის მიერ გამოცხადებული საგარეოპოლიტიკური კურსი — „ძალის პოზიციის" პოლიტიკა. გამოხატავენ რა ყველაზე აგრესიული კაპიტალისტური წრეების მისწრაფებას, ამ ქვეყნების მმართველებს არამც და არამც არა სურთ შეურიგდნენ მომხდარ ფაქტებს. მათ არა სურთ აღიარონ, რომ ხალხებს აქვთ უფლება თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი, მაშასადამე, უფლება აქვთ უარი თქვან ძველზე, აღმოფხვრან კაპიტალისტური წესწყობილება და დაამყარონ თავიანთი, ახალი, სოციალისტური წესწყობილება.

აგრესიული იმპერიალისტური წრეები სხვანაირად ფიქრობენ. მათ არა სურთ ცნონ ხალხთა კანონიერი მისწრაფება კაპიტალიზმის ბორკილისაგან განთავისუფლებისაკენ და აპირებენ იბრძოლონ მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმის ბატონობის აღსადგენად. სწორედ ამით არის ნაკარნახევი, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური კურსი — მთელ მსოფლიოში იმპერიალიზმის ბატონობის აღდგენის კურსი, სოციალიზმის დამხობის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მშრომელთა ხელისუფლების დამხობის კურსი.

სწორედ ამ მიზნებით არის შთაგონებული ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული საგარეო პოლიტიკა. ეს პოლიტიკა შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ და მხოლოდ ახალი მსოფლიო ომის — იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის აღდგენისათვის ომის მომზადებას.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი იბადება ძველთან გაფთრებული ბრძოლის პირობებში, რომ სოციალიზმი ისე ვერ გაიმარჯვებს ამა თუ იმ ქვეყანაში, თუ არ უკუაგდო და არ დაძლია იმპერიალიზმისა და მისი აგენტურის წინააღმდეგობა.

ასეთია ომისშემდგომი საერთაშორისო ვითარება, რომელიც განსაზღვრავს უკანასკნელი წლების ძირითად მოვლენათა ხასიათს.

### II. ორი კურსი საერთაშორისო პოლიტიკაში

როგორც საბჭოთა კავშირი, ისე სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებიც, მტკიცედ და რწმენით იცავენ რა ხალხების მიერ მოპოვებულ პოზიციებს, ცდილობენ სულ უფრო განამტკიცონ ეს პოზიციები და უზრუნველყონ წყნარი, მშვიდობიანი პირობები თავიანთი სოციალისტური მშენებლობისათვის. დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი მშვიდობის ბანაკია. ამიტომ მას ჩვეულებრივ უწოდებენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს.

იცავს რა მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს, საბჭოთა კავშირი თავის საგარეო პოლიტიკაში იმის მომხრეა, რომ შენელდეს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა.

საბჭოთა კავშირთან ერთად საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ამ საგარეოპოლიტიკურ კურსს იცავს დემოკრატიული ბანაკის ყველა ქვეყანა.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეოპოლიტიკურ კურსს უპირისპირდება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელიც გამოიხატება „ძალის პოზიციის" პოლიტიკით. ამერიკის საგარეოპოლიტიკური კურსის აგრესიული ხასიათი სავსებით აშკარაა.

განა საკვირველია, რომ ხალხთა მასები აქტიურ ინტერესს იჩენენ იმისადმი, რაც საერთაშორისო ცხოვრებაში ხდება?

მრავალ მილიონობით ადამიანი გულდასმით ადევნებს თვალყურს, თუ რა მიმართულებით ვითარდება მოვლენები: მშვიდობის განმტკიცების მიმართულებით ვითარდება, თუ პირიქით, ახალი ომის საფრთხის გაძლიერების მიმართულებით. ისე არაფერი ლახავს ხალხის ბედს, არ იწვევს იმდენ მწუხარებასა და ტანჯვას, როგორც ომი. ვისთვის არ არის ნათელი, რომ ახალი ომის შედეგები, კაცობრიობა რომ მის უფსკრულში გადაჩეხონ, განუზომლად უფრო მძიმე იქნებოდა მეორე მსოფლიო ომის შედეგებთან შედარებითაც კი, რომელმაც მრავალ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რომ არაფერი ვთქვათ აურაცხელ მატერიალურ მსხვერპლზე, რაც ხალხებმა გაიღეს.

საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებში საბჭოთა კავშირს განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის.

საბჭოთა კავშირს, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას, საპატიო ადგილი ეკუთვნის მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის საქმეში. ჩვენს დროში საბჭოთა კავშირი ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების მთავარი დასაყრდენი გახდა. (მქუხარე ტაში).

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

# საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება

(გაგრძელება)

საბჭოთა კავშირის, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ძალების განმტკიცებასთან ერთად და ყველა სხვა ქვეყანაში მშვიდობისათვის მოძრაობის გაქანების გადიდებასთან ერთად იზრდება ხალხთა შეგნება, რომ მშვიდობის საქმე მათს საკუთარ ხელშია და რომ ხალხებს შეუძლიათ არ დაუშვან ახალი ომი და დაიცვან მშვიდობა, თუ არ დაზოგავენ ძალებს და, როცა საჭირო გახდება, მთელი სიმტკიცით ბოლომდე დაიცავენ მშვიდობის საქმეს. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირს თავის მთავარ ამოცანად ის მიაჩნია, რომ განამტკიცოს მშვიდობის ძალები და ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ეს კურსი ყველაზე მეტად შეესაბამება მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებს. იგი ამასთანავე ემსახურება ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმებისა და ხრიკების მხილების საქმეს, — იმ იმპერიალისტური ძალებისა, რომლებსაც „ძალის" იმედი აქვთ, რაც, სინამდვილეში, სულ უფრო იქცევა მესამე მსოფლიო ომის მომზადების პოლიტიკად.

ჩვენს დროში ჩაღდება საგარეო პოლიტიკის ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო კურსის ბრძოლა.

თუ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარულ კურსს სულ უფრო მძლავრად უჭერენ მხარს დემოკრატიული ბანაკი და ყველა ქვეყნის მოსახლეობის დემოკრატიული ფენები, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის აგრესიული კურსი ემყარება სულ ახალი აგრესიული სამხედრო ბლოკების და დაჯგუფებების შექმნას და თავის უკანასკნელ გამოხატულებას პოულობს ატომური ომის აშკარა პროპაგანდითა და მომზადებით.

ამავე დროს არიან ქვეყნები, რომლებიც ეკონომიურად ძირითადად დაკავშირებული არიან კაპიტალისტურ სისტემასთან, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში ზრუნავენ მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. ასეთ მისწრაფებათა განმტკიცების დიდი მნიშვნელობა არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ.

რას ნიშნავს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პოლიტიკა?

ამაზე უმჯობესია ვიმსჯელოთ ფაქტების მიხედვით. შეიძლება მაგალითისათვის ავიღოთ როგორც გასული წლის ამბები, ისე დღევანდელი ამბებიც.

საბჭოთა კავშირის მტკიცე მოთხოვნით 1954 წლის იანვრის ბოლოს და თებერვლის პირველ ნახევარში გაიმართა ბერლინის თათბირი საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით.

ამ თათბირზე ჩვენ ვცდილობდით მიგვეღწია ისეთი გადაწყვეტილებებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მნიშვნელოვან შენელებას საერთაშორისო ურთიერთობაში. ჩვენ მოვითხოვდით, რომ ოთხივე სახელმწიფოს გადაეჭრით დაეგმოს გეგმები, რომელთა მიზანია მილიტარიზმის აღდგენა დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე ვცდილობდით, რომ ბერლინის თათბირს წინ წაეწია საკითხი შეიარაღების საყოველთაო შემცირების თაობაზე მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ. შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ამაში მხარი არ დაგვიჭირეს.

მიუხედავად ამისა, ბერლინის თათბირმა დიდმნიშვნელოვანი დადებითი როლი შეასრულა.

ბერლინის თათბირის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ხუთი წლის შეწყვეტის შემდეგ დასაბამი მიეცა დიდ სახელმწიფოთა ახალ საერთაშორისო თათბირებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისათვის. რაც შეეხება ბერლინში მიღებულ გადაწყვეტილებას მეორე თათბირის მოწვევის შესახებ, რომელიც შემდეგ კიდევაც გაიმართა ჟენევაში, ცნობილია, რომ ამ გადაწყვეტილებამ თავისი დადებითი შედეგები გამოიღო.

როგორც ცნობილია, ჟენევის თათბირში საფრანგეთთან, ინგლისთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საბჭოთა კავშირთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ, აგრეთვე იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან კორეისა და ინდოჩინეთის საკითხების მოწესრიგებით. თუ ბერლინის თათბირის წარმატება იყო გადაწყვეტილება ჟენევის თათბირის მოწვევის შესახებ, რომელშიც, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგობისა, მონაწილეობა მიიღო ხუთივე დიდმა სახელმწიფომ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩათვლით, ჟენევის თათბირის დადებითმა შედეგებმა დაადასტურა, თუ რამდენ საჭირო იყო ამ თათბირში ჩინეთის მონაწილეობა.

ჟენევის თათბირს მთლიანად არ შეუსრულებია თავისი ამოცანა, რამდენადაც მან წინ ვერ წასწია კორეის საკითხის გადაჭრა. მაგრამ ამ თათბირზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტის შესახებ, რომელიც რვა წელიწადს გრძელდებოდა, აგრეთვე ლაოსსა და კამბოჯაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. შეთანხმებანი შესაძლებელი გახდა, უწინარეს ყოვლისა, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ვიეტნამელი ხალხის თავდადებული ბრძოლის შედეგად. ეს ბრძოლა, თავის მხრივ, ემყარებოდა სხვა ხალხების აქტიურ თანაგრძნობასა და მხარდაჭერას. ყოველივე ამან რამდენადმე აღიარება ჰპოვა ჟენევის თათბირზე.

შეერთებულმა შტატებმა აშკარად სცადეს ხელი შეეშალათ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შესახებ შეთანხმების მიღწევისათვის. არა მარტო სახელმწიფო მდივანი დალესი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონიც, როგორც „ძალის პოლიტიკის" თავგამოდებული მომხრენი, აშკარად ცდილობდნენ არა ომის დამთავრებას და არა ვიეტნამელი ხალხის კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, არამედ ომის განგრძობას და ინდოჩინეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეიარაღებული გზით ჩახშობას. ისინი ამზადებდნენ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომის „ინტერნაციონალიზაციის" გეგმებს, მხედველობაში ჰქონდათ ამ ომში ჩაეთრიათ, საფრანგეთის გარდა, შეერთებული შტატებიც და ინგლისიც, და ისწრაფვოდნენ რაღაც უნდა დაჯდომოდათ ხელი შეეშალათ ჟენევაში შეთანხმების მიღწევისათვის.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა არც კი ისურვა მონაწილეობა მიეღო ინდოჩინეთის საკითხის განხილვაში და დემონსტრაციულად წავიდა ჟენევიდან. მაგრამ შეერთებულმა შტატებმა თავიანთი აგრესიულობის ცხადყოფით ვერაფერს ვერ მიაღწიეს და იზოლაციის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ჟენევის თათბირის შედეგები შეფასებულ იქნა როგორც აგრესიული ძალების დამარცხება და, ამასთან ერთად, როგორც მშვიდობისმოყვარე ძალების არსებითი გამარჯვება. ამით ჟენევის თათბირმა ხელი შეუწყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა წრეებმა არ ისურვეს დამშვიდებულიყვნენ.

როგორც კი ჟენევის თათბირი დამთავრდა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა თავისი საკუთარი კონფერენცია შეკრიბა მანილაში (ფილიპინები). ეს კონფერენცია შეკრებილი იყო აშკარა მიზნით ხელი შეეშალათ ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ამასთან ამ აგრესიული საქმისათვის დახმარების გაწევაზე დათანხმდა ჟენევის თათბირის ზოგიერთი მონაწილეც, რომლებმაც ანგარიში არ გაუწიეს იმას, თუ რა გავლენას იქონიებდა ეს მათს პრესტიჟზე.

დალესის კონფერენციაზე მანილაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ეგრეთწოდებული „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კოლექტიური დაცვის" (სეატო) შესახებ, რომელიც წარმოადგენს ისეთ კოლონიურ სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკს, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი და აზიის მათზე დამოკიდებული ზოგიერთი სახელმწიფო, როგორიც არიან ფილიპინები, ტაილანდი, პაკისტანი. ეს ხელშეკრულება გამსჭვალულია მისწრაფებით ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აზიაში და აშკარად მიმართულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომლის საერთაშორისო ავტორიტეტი ესოდენ ამაღლდა ჟენევის თათბირის პერიოდში მიუხედავად ყოველგვარი რეაქციული წრეების წინააღმდეგობისა.

რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას, რომ ახლანდელ პირობებში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი ყოველგვარ წინააღმდეგობას ხვდება ყველაზე აგრესიული წრეების მხრივ, რომლებიც დაინტერესებული არიან დაძაბულობის არა შენელებით, არამედ გაძლიერებით. მაშასადამე, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას ისე ვერ მივაღწევთ, თუ მტკიცე ბრძოლა არ ვაწარმოეთ ყველაზე აგრესიული ძალებისა და მათი ხრიკების წინააღმდეგ და, მაშასადამე, ეს ბრძოლა არათუ არ შეიძლება შენელდეს, არამედ საჭიროა გაგრძელდეს უფრო მეტი სიმტკიცით, უნარითა და თანმიმდევრულობით.

ახლამად შორეულ აღმოსავლეთშიც ხდება ამბები, რომლებიც მოწმობენ აგრესიული ძალების ახალ ცდებს გააქტიურდნენ, რათა ხელი შეუშალონ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას.

თუ არა ამას, მაშ რას მოწმობენ ის ამბები, რომლებიც ტაივანის და ჩინეთის სხვა კუნძულების რაიონში ხდება?

ძნელია მოიძებნოს უფრო სამარცხვინო ფაქტები იმპერიალისტური აგრესიის ისტორიაში, ვიდრე ის ამბები, რომლებიც უკანასკნელ წლებში ხდება ამ რაიონში.

მართლაც, კუნძული ტაივანი და პენხულედაოს კუნძულები, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩინეთის ახლომდებარე სხვა კუნძულებზე, ჩინეთის უდავო ტერიტორიაა. ეს სპეციალურად აღიარებულ იქნა კაიროს 1943 წლის დეკლარაციაში, ხოლო შემდეგ პოტსდამის 1945 წლის დეკლარაციაში, რომლებსაც ხელი მოაწერეს როგორც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ისე ინგლისმა. ეს, გარდა ამისა, განმტკიცებულ იქნა აქტით იაპონიის კაპიტულაციის შესახებ, იაპონიისა, რომელმაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს ჩაიგდო ხელში ეს კუნძულები, ხოლო კაპიტულაციის აქტით ისინი ჩინეთს დაუბრუნა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ახლა ეს კუნძულები ხელში ჩაიგდეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იქ თავიანთი ფულით ინახავენ ჩინეთიდან გაძევებულ ჩან კაი-შის დანაშაულებრივ ბანდას, მისი დაქირავებული ჯარების დახმარებით ამზადებენ ჩინეთზე თავდასხმას. უკანასკნელ ხანს საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და კონგრესი ისე გაიტაცა მათმა „ძალის პოლიტიკამ", რომ აშკარად ემუქრებიან ომით ჩინელ ხალხს, რომელიც იცავს თავის უფლებებს ამ კუნძულების მიმართ და თავის ეროვნულ ღირსებას და სუვერენიტეტს აგრესორის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხში ნათელი და კარგად ცნობილია.

ჩვენ ტაივანის საკითხი მიგვაჩნია ჩინეთის საშინაო საქმედ, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მტაცებლური მოქმედება და მათი ომის მუქარა მიგვაჩნია აგრესიად, რომელიც უთუოდ უნდა დაგმოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, თუ მისთვის ძვირფასია თავისი ავტორიტეტი. (ტაში). აღარ შეიძლება ისეთი მდგომარეობის მოთმენა, რომ დღემდე აღდგენილი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგობის გამო. შეერთებულმა შტატებმა ტაივანიდან და ტაივანის სრუტიდან უნდა გაიყვანონ მთელი თავიანთი შეიარაღებული ძალები, მათ შორის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები. მაშინ შორეულ აღმოსავლეთში შეწყდება საომარი მოქმედება და დამყარდება მშვიდობა. (ტაში).

მაშინ როცა შეერთებული შტატების პოზიცია ტაივანის საკითხში იწვევს მშვიდობის შენარჩუნებისათვის საფრთხის შექმნას და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის გაძლიერებას, სსრ კავშირის პოზიცია ამ შემთხვევაშიც შეესაბამება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებს და მისი მიზანია მშვიდობის განმტკიცება შორეულ აღმოსავლეთში.

რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო დაძაბულობის ისეთი შენელება, რომელიც შესაძლებელია არა ამა თუ იმ სახელმწიფოს, ამა თუ იმ ხალხის თავისუფლებისა და ეროვნულ უფლებათა ძირის გამოთხრით და შეკვეცით, არამედ იმ დემოკრატიულ უფლებათა უზრუნველყოფით და შესაძლო განმტკიცებით, როგორც ამას მოითხოვენ სახელმწიფოთა და ხალხთა ცხოვრების პროგრესის ინტერესები.

რაც უნდა დიდმნიშვნელოვანი იყოს აზიის ხსენებული ამბები, ვერ მივიჩნევთ, რომ მდგომარეობა ევროპაში შეიძლება მეორე პლანზე გადავიტანოთ.

საკმარისია გავიხსენოთ პარიზის შეთანხმებანი, რომ შევაფასოთ აქ შექმნილი მდგომარეობის სიმწვავე.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპის ყველა ომისშემდგომ პრობლემათა ცენტრში დადგა გერმანიის საკითხი. ომის დამთავრების შემდეგ გასული ათი წელი თითქოს საკმარისი პერიოდია იმისათვის, რომ გერმანიის პრობლემის გადასაჭრელად დასახულიყო ნათელი გზები და საშუალებანი. მიუხედავად ამისა, საქმე ასე როდია.

თუ ომის დროს და მისი დამთავრებისთანავე ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა სახელმწიფო დაეთანხმა იმას, რომ მათი საერთო მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ გერმანიის როგორც ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარება, ომის დამთავრების შემდეგ პირველსავე წლებში გამოირკვა, რომ ყველა ეს სახელმწიფო ნამდვილად როდი ესწრაფვის ამ მიზნებს. ზოგიერთი სახელმწიფოსათვის, რომლებსაც სსრ კავშირი ეკუთვნის, ეს იყო და ახლაც არის გერმანიის საკითხში მათი პოლიტიკის საფუძველი. სხვა სახელმწიფოებისათვის კი ეს იყო მხოლოდ სიტყვები, რომლებსაც მათ მოაწერეს ხელი, ისე რომ სერიოზულად არც კი უფიქრიათ შეესრულებინათ შეთანხმებანი, რომლებსაც ხელი მოაწერეს.

საბჭოთა კავშირი იმის მომხრე იყო და არის, რომ შესრულდეს იალტასა და პოტსდამში ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებათა ძირითადი ამოცანა. საქმე ამ შეთანხმებათა ამა თუ იმ პარაგრაფებს კი არ ეხება, — ბევრი მათგანი აღარავის ესაჭიროება, რადგან მოვლენებმა დიდი ხანია გაუსწრო მათ. მაგრამ ძირითადი პრობლემა, როგორც იგი დასმული იყო ამ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებში, — გერმანიის როგორც ნამდვილი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის პრობლემა, არ შეიძლება მოიხსნას დღის წესრიგიდან, თუ ჩვენთვის ძვირფასია ევროპის ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების ინტერესები. ეს პრობლემა მანამდე იდგება, სანამ იგი არ გადაწყდება ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისად და ამასთანავე ერთიანი დემოკრატიული გერმანიის ეროვნული აღორძინების ინტერესების სათანადო გათვალისწინებით. გერმანელი ხალხის მზარდი მშვიდობისმოყვარე ძალების საიმედო დასაყრდენია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ურყევად იცავს გერმანიის ერთიანობის აღდგენის საქმეს. (ტაში).

ამის მიხედვით უნდა განვიხილოთ პარიზის შეთანხმებათა საკითხიც.

როგორც „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" უარყოფილ პროექტში, ისე პარიზის შეთანხმებებშიც საქმე, ბოლოს და ბოლოს, ერთი და იმავე რამით ამოიწურება: როგორც პირველი, ისე მეორე პროექტი გზას უხსნის იმას, რომ დასავლეთ გერმანიაში აღორძინდეს გერმანიის მილიტარიზმი და რემილიტარიზებული დასავლეთი გერმანია შეიყვანონ დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში. დიდი განსხვავება არ არის მათ შორის: წინათ აპირებდნენ დასავლეთ გერმანიის არმია შეეყვანათ ეგრეთწოდებულ „ევროპის არმიაში", პარიზის შეთანხმებებით კი — „დასავლეთ ევროპის არმიაში". ამაზე ერთი რამ შეიძლება ითქვას: „პროშუზა ბოლოკზე ტკბილი არ არის, ნახშირი მურზე თეთრი არ არის". (სიცილი, ტაში).

ყოველივე ამას სჩადიან ცნობილ საერთაშორისო შეთანხმებათა პირდაპირი დარღვევით, რომლებსაც ხელს აწერს ოთხი დიდი სახელმწიფო და რომელთა მიზანია არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება. ეს არის აგრეთვე უხეში დარღვევა როგორც ინგლის-საბჭოთა კავშირის, ისე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებისა, რომელთა თანახმად ინგლისმა და საფრანგეთმა იკისრეს ვალდებულება სსრ კავშირთან ერთად მიიღონ ღონისძიებანი გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობის წინააღმდეგ, აგრეთვე იკისრეს ვალდებულება მონაწილეობა არ მიიღონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო დაჯგუფებებში. ფეხქვეშ თელავენ რა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, რომლებსაც სსრ კავშირთან ერთად მოაწერეს ხელი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი ყოველივეს სჩადიან, რათა დაამტკიცებინონ და დააჩქარონ პარიზის შეთანხმებათა განხორციელება.

პარიზის შეთანხმებანი დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან ევროპის პარლამენტებში.

საკმარისია ითქვას, რომ, მიუხედავად მთელი ზეგავლენისა გარედან და მთელი მუქარისა, რასაც შეერთებული შტატები მიმართავენ იმათ წინააღმდეგ, ვისაც არა სწამს, რომ პარიზის შეთანხმებანი საჭიროა, საფრანგეთის პარლამენტში დეპუტატთა მხოლოდ უმცირესობამ მისცა ხმა პარიზის შეთანხმებათა სასარგებლოდ. ინგლისის პარლამენტშიც დეპუტატთა მხოლოდ უმცირესობა დათანხმდა ხმა მიეცა პარიზის შეთანხმებებისათვის. ამასთან ლეიბორისტთა ფრაქციამ, როგორც ცნობილია, გადაწყვიტა სავსებით შეეკავებინა თავი კენჭისყრაში. თვით დასავლეთ გერმანიაში მუშათა კლასის ყველა ძირითადმა პროფკავშირულმა და პარტიულმა მასობრივმა ორგანიზაციამ, რომელთა მიხედვით, რამდენადმე, შეიძლება ვიმსჯელოთ გერმანელი ხალხის უმრავლესობის ნამდვილი განწყობილების შესახებ, გადაჭრით გაილაშქრა პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ და რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, რამდენადაც გერმანელი ხალხი, ბუნებრივია, ვერ დაივიწყებს ორი მსოფლიო ომის უაღრესად მძიმე შედეგებს გერმანიისათვის.

ასეთ შემთხვევაში, რა ფასი აქვთ პარიზის შეთანხმებებს, რომლებსაც გარედან ახვევენ თავს და რომლებსაც ევროპის ხალხები გმობენ და უარყოფენ?

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ პარიზის შეთანხმებათა უარყოფითი და პირდაპირ საშიში შედეგები, თუ ეს შეთანხმებანი დაამტკიცეს და განახორციელეს.

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საფრთხე ევროპის ხალხებისათვის ის არის, რომ ეს შეთანხმებანი ემსახურებიან არა მშვიდობის გამტკიცების მიზნებს, არამედ ომის მომზადების მიზნებს. განა ცოტა ავანტიურისტია „ძალის პოლიტიკის" მომხრეთა შორის, რომლებიც ასე ისწრაფვიან გაერთიანდნენ თავაღებულ რევანშისტებთან და მილიტარისტებთან დასავლეთ გერმანიაში?

ანგარიში უნდა გაეწიოს აგრეთვე იმას, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია უმძიმეს ლახვარს ჩასცემს გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

თუ პარიზის შეთანხმებანი დაამტკიცეს, ისინი მთავარი დაბრკოლება იქნებიან გერმანიის პრობლემის გადაჭრის გზაზე. ისინი ხანგრძლივი პერიოდით გახდიან შეუძლებელს გერმანიის ერთიანობის აღდგენას. მას შემდეგ, რაც დასავლეთი გერმანია რემილიტარიზებულ იქნება და მილიტარისტულ სახელმწიფოდ გადაიქცევა, შეუძლებელი გახდება გერმანიის ამ ნაწილის გაერთიანება გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილთან — მშვიდობისმოყვარე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ერთადერთი მიზანი ყველა განცხადებისა, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია თითქოს ხელს არ შეუშლის ნაყოფიერ მოლაპარაკებას გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ, ის არის, რომ პარლამენტებს დაამტკიცებინონ პარიზის შეთანხმებანი და ამისათვის გამოიყენონ საზოგადოებრივი წრეების დეზორიენტაციისა და მოტყუების ყველა საშუალება.

პირიქით, პარიზის შეთანხმებებზე უარის თქმა და ოთხ სახელმწიფოს — საფრანგეთს, ინგლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის სათანადო შეთანხმების მიღწევა შესაძლებელს გახდიდა უკვე წელს მომხდარიყო სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები, რომლის მიზანია გერმანიის ერთიანობის აღდგენა მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე. ეს არის გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის 15 იანვრის განცხადების აზრი.

ფრანგებს, ბელგიელებს, ნორვეგიელებსა და სხვებს არწმუნებენ, თითქოს პარიზის შეთანხმებანი, რომლებიც ვერმახტის აღორძინებას ითვალისწინებენ, საჭიროა მათი უშიშროების უზრუნველსაყოფად.

მათ უსინდისოდ ატყუებენ, არწმუნებენ რა, რომ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები თითქოს საფრთხეს უქმნიდნენ დასავლეთ ევროპის ხალხთა უშიშროებას, თუმცა იმათაც, ვინც ამას ყოველთვის გაიძახის, იციან, რომ ეს საზიზღარი და ბინძური ცილისწამებაა ჩვენი მშვიდობისმოყვარე ქვეყნის მიმართ და ყველა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მიმართ. მაგრამ აგრესიული პოლიტიკის მქადაგებელთა ხელშია მრავალტირაჟიანი ბურჟუაზიული პრესა, მრავალი რადიოსადგური, რომლებიც ყოველდღე გაჰყვირიან დილიდან ღამემდე; მათ ხელშია მთელი სახელმწიფო აპარატი და კაპიტალის ყოველგვარი დაქირავებული აგენტების არმია, რომლებიც პატიოსნებასა და სინდისს ჰყიდიან და რომლებიც ყოველდღე ავრცელებენ ყოველგვარ საზიზღარ ანტისაბჭოთა სიცრუესა და ცილისწამებას და ყოველივე ამას სულ უფრო უსინდისოდ და თავხედურად სჩადიან, რადგან გრძნობენ, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ. (გამოცოცხლება დარბაზში).

## III. საბჭოთა კავშირის ბრძოლა მშვიდობისათვის, კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის

ვერავითარი ცილისწამება და მონაჭორი ვერ დაუმალავს ხალხებს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის, ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განსხვავებისა, კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი კარგად არის ცნობილი. ამ პროექტს მხარი დაუჭირეს ევროპის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა და მან უაღრესად ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ყველა ქვეყანაში, მათ შორის იმ ქვეყნებშიც, სადაც მმართველი წრეები ცდილობენ მიჩქმალონ საბჭოთა კავშირის წინადადებანი კოლექტიური უშიშროების შესახებ, ხშირად კი პირდაპირ ამახინჯებენ ამ წინადადებათა აზრს.

საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს სხვა წინადადებებიც ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ. ამ მიზნით მან წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნას სრულიად ევროპის თათბირი და იქ განიხილონ როგორც საბჭოთა პროექტი, ისე სხვა შესაძლო წინადადებებიც ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

მაგრამ საბჭოთა წინადადების არც ერთ მოწინააღმდეგეს არ წამოუყენებია რაიმე სხვა პროექტი ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველსაყოფად. ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შემავალ სახელმწიფოთა მთავრობებმა უარი თქვეს აგრეთვე იმაზე, რომ მონაწილეობა მიეღოთ სრულიად ევროპის თათბირში ამ საკითხის შესახებ. მათ განაცხადეს, რომ აინტერესებთ მხოლოდ ისეთი ხელშეკრულებანი, რომლებშიც მონაწილეობენ მარტო ის სახელმწიფოები, „რომლებიც ისევე აზროვნებენ", როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მონაწილენი. ამით მათ ცხადყვეს, თუ რამდენად უპრინციპოდ ეკიდებიან თავიანთ მონაწილეობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელიც შექმნილია იმ პრინციპების აღიარების საფუძველზე, რომ ამ ორგანიზაციაში თანასწორუფლებიანად მონაწილეობდეს ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. თავიანთი განცხადებით მათ ამასთანავე დაადასტურეს, რომ ისინი არც კი ფიქრობენ ევროპის მშვიდობისა და ნამდვილი უშიშროების უზრუნველყოფაზე და რომ მათი სამხედრო დაჯგუფებანი შექმნილია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი მტრული მიზნებით.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ევროპის ყველა სახელმწიფოს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, ისინი უპირისპირებენ ზოგიერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებების შექმნის პოლიტიკას. ამით მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა აგრესიული გეგმებისათვის და იმისათვის, რომ ისინი მოქმედებენ არა მშვიდობის ინტერესების სასარგებლოდ და, მაშასადამე, არა თავიანთი ხალხების ინტერესების სასარგებლოდ, არამედ იმ აგრესიული წრეებისა და მმართველი ხროვების ინტერესებისათვის, რომლებიც აწორციელებენ აგრესიულ „ძალის პოლიტიკას" და რომლებსაც სამართლიანად უწოდეს ომის გამჩაღებლები.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის პოზიცია პარიზის შეთანხმებათა მიმართ სავსებით ცხადია. იგი არავითარ საფუძველს არ იძლევა მითქმა-მოთქმისათვის.

ჩვენთვის ცხადია, რომ თუ პარიზის შეთანხმებანი დაამტკიცეს, დასავლეთი გერმანია დაადგება მილიტარიზმის აღდგენის გზას და ფაქტიურად აღმოჩნდება გერმანელ რევანშისტთა ხელში. უნდა ვიფიქროთ, რომ ფრანგ პატრიოტებსაც, რომლებიც ედუარდ ერიოს შესანიშნავ სიტყვებს ისმენენ, კარგად ესმით, თუ რა მოსდევს ამას.

რამდენადაც, პარიზის შეთანხმებათა თანახმად, რემილიტარიზებული დასავლეთი გერმანია შევა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკშიც და დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირშიც საფრანგეთთან, ინგლისთან, იტალიასთან და ზოგ სხვა სახელმწიფოსთან ერთად, ევროპაში შეიქმნება ახალი მდგომარეობა, რადგან ამის შემდეგ ბევრად გაძლიერდება ახალი ომის საფრთხე.

ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ საბჭოთა კავშირმა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია პარიზის შეთანხმებანი. საბჭოთა ხალხი და მისი არმია გულწრფელად მშვიდობისმოყვარენი არიან და, ამასთან ერთად, გამსჭვალული არიან ღრმა შეგნებით და მტკიცე გადაწყვეტილებით — დაიცვან თავიანთი სოციალისტური მონაპოვარნი. თუ აგრესორი წინათაც იღებდა იმას, რისი ღირსიც იყო, ახლა მან არ უნდა დაივიწყოს საბჭოთა კავშირის განუზომლად გაზრდილი ძლიერება და ის, რომ ჩვენს არმიაში ყოველ 100 კაცზე 77 კომუნისტი და კომკავშირელია. ხოლო კომუნისტებმა და კომკავშირელებმა განსაკუთრებით კარგად იციან, თუ როგორ უნდა დაიცვან აგრესორისაგან კომუნიზმის მონაპოვარნი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

# სინხუას სააგენტოს ცნობა

პეკინი, 8 თებერვალი. (საქდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

სინხუას სააგენტოს დავალებული აქვს შემდეგი განცხადება გააკეთოს ჩინეთის საჰაერო სივრცეში ამერიკის თვითმფრინავთა შემოჭრის გამო.

7 თებერვალს 06.00 საათიდან 18.00 საათამდე საერთო ანგარიშით 28 ამერიკული თვითმფრინავი ექვსჯერ შემოიჭრა იძიანშანის, ტოუმინშანისა და სხვა კუნძულების საჰაერო სივრცეში საომარი პროვოკაციების მიზნით. ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის თვითმფრინავები დაუყოვნებლივ აღიოდნენ ჰაერში, და ამერიკის თვითმფრინავები მიფრინავდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

ამით სინხუას სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამერიკის ავიაციის ეს მოქმედება საომარი პროვოკაციაა, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის ტერიტორიისა და სუვერენიტეტის სერიოზულ ხელყოფას. თუ ამერიკის ავიაცია კვლავ გაბედავს შემოიჭრას ჩინეთის საჰაერო სივრცეში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა აქედან გამომდინარე სერიოზული შედეგებისათვის.

# ცნობა დაჩენის კუნძულების ევაკუაციის შესახებ

ლონდონი, 7 თებერვალი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტაიბეიდან (ტაივანი) იუწყება, დღეს ჩანკაიშელებმა დაიწყეს დაჩენის კუნძულების ევაკუაცია.

დაჩენის კუნძულები, რომლებიც ჩინეთის სანაპიროს ახლო მდებარეობენ, ჩანკაიშელთა ხროვამ დაიკავა ჩინეთიდან განდევნის შემდეგ.

ცნობაში აღნიშნულია, რომ დაჩენის კუნძულების ევაკუაცია წარმოებს ამერიკის მე-7 ფლოტის 70 ხომალდისა და ამერიკული 700 რეაქტიული თვითმფრინავის დახმარებით.

# „ჩინელი ხალხის მტკიცე და სამართლიანი პოზიცია“

პეკინი, 5 თებერვალი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდისადმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის პასუხთან დაკავშირებით, გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ დღეს გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია სათაურით „ჩინელი ხალხის მტკიცე და სამართლიანი პოზიცია“.

ჩინელი ხალხის მიერ საკუთარი ტერიტორიის განთავისუფლებაზე თავის სუვერენულ უფლებათა განხორციელება, წერს გაზეთი, ჩინეთის წმინდა საშინაო საქმეა და ვერავითარ შემთხვევაში თავისთავად ვერ გამოიწვევს დაძაბულობას საერთაშორისო ურთიერთობაში. შეერთებული შტატების მიერ ტაივანის ოკუპაციამ და მათმა ჩარევამ ჩინეთის საშინაო საქმეებში გააძლიერა დაძაბულობა ტაივანის რაიონში. ამიტომ მხოლოდ იმ წინადადების განხორციელებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა უშიშროების საბჭოში შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის აღკვეთის მიზნით, შეუძლია აღმოფხვრას ამ დაძაბულობის ძირითადი წყარო.

ჩანკაიშელთა ხროვის წარმომადგენლის განდევნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან და საბჭოთა წინადადების განხილვა უშიშროების საბჭოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობით, განაგრძობს გაზეთი, ხელს შეუწყობდა დაძაბულობის შენელებას ტაივანის რაიონში. ასეთია ჩინელი ხალხის მტკიცე და სამართლიანი პოზიცია, რომელიც სავსებით შეესაბამება მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებისა და ყველა იმათ მოთხოვნებს, ვინც ნამდვილად ესწრაფვის დაძაბულობის შენელებას შორეულ აღმოსავლეთში.

ჩინელი ხალხი, წერს დასასრულ გაზეთი, თანმიმდევრულად და განუხრელად ცდილობს შეანელოს დაძაბულობა შორეულ აღმოსავლეთში.

# ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

პეკინი, 7 თებერვალი. (საქდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ 5 თებერვალს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ იგი მზად არის აღადგინოს ნორმალური ურთიერთობა ვიეტნამის ჩრდილოეთ და სამხრეთ ზონებს შორის. განცხადებაში ნათქვამია:

1. ვიეტნამელი ხალხის მხურვალე სურვილის დასაკმაყოფილებლად და დაზავების შესახებ ჟენევის შეთანხმების სულისკვეთების შესაბამისად, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის მისცეს ხალხს ჩრდილოეთ და სამხრეთ ზონებში დროებითი სამხედრო სადემარკაციო ხაზის ორივე მხარეზე საფოსტო კორესპონდენციის გზავნის, სავაჭრო და სამეწარმო საქმიანობისა და კულტურულ, მხატვრულ, მეცნიერულ, ტექნიკურ, სპორტულ და სხვა დარგში გაცვლის ყველა შესაძლებლობა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველმხრივ უწყობს ხელს და ეხმარება ორივე ზონის მოსახლეობას გაცვლაში ეკონომიურ, კულტურულ და სოციალურ დარგში, რაც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ხალხის ნორმალური ცხოვრების აღდგენაზე.

2. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იმედი აქვს, რომ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი დათანხმდებიან აღდგენილ იქნას ნორმალური ურთიერთობა ჩრდილოეთ და სამხრეთ ზონებს შორის, რათა მივაღწიოთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კეთილსასურველი იქნება მთელი ხალხისათვის.

გადაწყვეტილება ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ მიღებულ იქნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელზეც გამოითქვა აზრი, რომ „ვიეტნამი არის ერთიანი ქვეყანა ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. ვიეტნამელი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და სოციალური ურთიერთობა, აგრეთვე მისი სოლიდარობა განუყოფელია“.

განცხადებაში შემდეგ აღნიშნულია: შეთანხმება ვიეტნამში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაპირობებს, რომ სადემარკაციო ხაზი დროებითია, და ჟენევის თათბირის დასკვნითი დეკლარაცია ითვალისწინებს, რომ სადემარკაციო ხაზი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ითვლებოდეს პოლიტიკურ ან ტერიტორიულ საზღვრად. „ორივე ზონას შორის ურთიერთობის აღდგენა არ ამცირებს ადმინისტრაციულ კონტროლს ორივე ზონაში. პირიქით, ეს ხელისუფლებს საზღვრის ორივე მხარეზე კეთილსასურველ შესაძლებლობებს მისცემს ურთიერთგაგებისათვის, შექმნის რა ამით საჭირო საფუძველს პოლიტიკური მოწესრიგებისათვის ვიეტნამში, როგორც ეს გათვალისწინებულია ჟენევის თათბირის დასკვნით დეკლარაციაში“.

# მოლაპარაკება ხაიფონის რაიონის გადაცემის შესახებ

პეკინი. 7 თებერვალი. (საქდესი). სინხუას სააგენტო, იმოწმებს რა ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს, იუწყება, რომ 4 თებერვალს ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის და საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის დელეგატებს შორის გრძელდებოდა მოლაპარაკება ხაიფონის რაიონის გადაცემის შესახებ.

ამ მოლაპარაკებაში, რომელიც მოაწყო დაზავების ცენტრალურმა გაერთიანებულმა კომისიამ, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის დელეგაცია მთავარ ყურადღებას აქცევს ორ საკითხს: საზოგადო საკუთრებისა და ნაგებობათა გადაცემას და გადაცემის ვადებს.

ამავე სხდომაზე ორივე მხარემ გამოაქვეყნა ერთობლივი კომუნიკე ცენტრალური ვიეტნამის სამხრეთი ნაწილის მე-5 ზონიდან ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილების გაყვანის შესახებ.

# რუმინეთის მშრომელები ხელს აწერენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვაზე

ბუქარესტი, 6 თებერვალი. (საქდესი). რუმინეთში ფართოვდება კამპანია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვაზე ხელმოწერის შესაგროვებლად. ამ მიმართვაზე დიდი აღფრთოვანებით აწერენ ხელს მუშები, გლეხები, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეები, მოსამსახურეები, სტუდენტები—სულ სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა რელიგიური რწმენის ადამიანები. ქალაქებსა და სოფლებში, სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში — ყველგან იმართება მიტინგები და კრებები, რომლებზეც რუმინელი მშრომელები გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას სხვა ქვეყნების ხალხებთან ერთად ჩაშალონ დანაშაულებრივი გეგმები დასავლეთის აგრესიული წრეებისა, რომლებიც ატომურ ომს ამზადებენ.

მიმართვა, რომელსაც ხელს ვაწერ, თქვა მატიას რაკოშის სახელობის ბუქარესტის ქარხნის კოლექტივის მიტინგზე მოწინავე მუშამ ს. ფურტუნემ, გამოხატავს მთელი დედამიწის ასეულ მილიონობით მშრომელის ნებას. ჩვენი ხელმოწერა ამ მიმართვაზე მრისხანე გაფრთხილებაა ატომის მანიაკებისათვის. ჩვენს ხელმოწერას საქმით განვამტკიცებთ. ჩვენი ბრიგადა ყოველდღიურად გამოუშვებს ორ-ორ-ნახევარ ნორმას შესრულებს.

პრესა აქვეყნებს მშრომელთა მრავალ წერილსა და აზრს, რომლებშიც ისინი სავსებით უჭერენ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

# ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწოდება

ლონდონი, 7 თებერვალი. (საქდესი). ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის აღმასკომის სხდომის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ კამპანიის შემდგომ გაძლიერებას. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ინგლისში, საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში საპროტესტო მოძრაობის ზრდამ გაადიდა იმის შესაძლებლობა, რომ ჩაიშალოს პარიზის შეთანხმებანი. „მოსახლეობის მოქმედების შედეგად ინგლისში, საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში უაღრესად გადიდდა ვერმახტის ხელახლა შექმნის ჩაშლის შესაძლებლობა. საბჭოთა მთავრობის 15 იანვრის განცხადებაში სრულიად გერმანიის არჩევნების შესახებ გასაგებად არის ნათქვამი, რომ მოლაპარაკებას შეიძლება წარმატება მოჰყვეს, თუ იგი მოეწყობა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამდე. ბრძოლა უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ არ აღმოიფხვრება გერმანიის შეიარაღებისა და ატომური ომის საფრთხე“.

აღმასკომმა გადაწყვიტა აგრეთვე მოუწოდოს მშვიდობის დაცვის ყველა კომიტეტს და სხვა ორგანიზაციებს 5 და 6 მარტს ინგლისის ყველა ქალაქსა და სოფელში მოაწყონ დემონსტრაციები ლოზუნგებით „შეჩერდეს გერმანიის შეიარაღება“, „დაიწყოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება“.

# ავსტრიაში აგროვებენ ხელმოწერას ვენის მიმართვაზე

ვენა, 6 თებერვალი. (საქდესი). როგორც ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭო იუწყება, ავსტრიაში რამდენიმე დღეში შეგროვებულია ათეულ ათასობით ხელმოწერა ატომური იარაღის წარმოების აკრძალვისა და მარაგის მოსპობის შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ვენის მიმართვაზე. ვენის რაიონებში — ფლორიდსდორფსა და შვეჰატში — უკვე შეგროვებულია 6 ათასზე მეტი ხელმოწერა, ქალაქ ვინერნოიშტადტში — 3 ათასზე მეტი ხელმოწერა. ბერნდორფის ლითონის ნაწარმის ქარხნის 664 მუშა-მოსამსახურიდან მიმართვას ხელი მოაწერა 661 კაცმა.

# მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 7 თებერვალი. (საქდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა რენე კოტიმ ანტუან პინეს მიანდო მთავრობის შედგენა. პინემ წინასწარი თანხმობა მისცა. დღეს იგი მოლაპარაკებას დაიწყებს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და მოლაპარაკების შედეგებთან დაკავშირებით მისცემს საბოლოო პასუხს. ანტუან პინე „დამოუკიდებელი რესპუბლიკელია“, ე. ი. პარლამენტის ერთ-ერთი მემარჯვენე ჯგუფის წარმომადგენელია. იგი ფლობს ტყავეულის საწარმოებს და საფრანგეთის სამრეწველო და სავაჭრო წრეების ინტერესების წარმომადგენელია.

პინეს მინისტრის პოსტები ეკავა სხვადასხვა კაბინეტში 1948 წლიდან 1952 წლის იანვრამდე. 1952 წლის მარტში მან შეადგინა მთავრობა, რომელსაც პროგრესულ პრესაში უწოდებდნენ „ყველაზე რეაქციულ“ მთავრობას, რომელიცკი საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ ყოფილა. საქმიანობა ამ მთავრობისა, რომელმაც 1952 წლის ნოემბრამდე იარსება, აღინიშნა მთელი რიგი ანტიმუშური ღონისძიებებით ეკონომიურ დარგში.

წარსულში პინე ილაშქრებდა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ. მაგრამ შემდეგში აზრი შეიცვალა, მხარს უჭერდა ხელშეკრულებას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ და ამტკიცებდა, თითქოს ეს სამხედრო ხელშეკრულება შეიცავდა „გარანტიებს“ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ. პინე მუდამ ემხრობოდა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირს. მან თავი შეიკავა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტისათვის კენჭისყრაში.

რესპუბლიკის პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაში პინემ არ განსაზღვრა თავისი ახლანდელი დამოკიდებულება პარიზის შეთანხმებებისადმი. ამ განცხადებაში მან მოიხსენია საფრანგეთის „უშიშროების ორგანიზაცია“, „მისი კავშირების განმტკიცება“, „ევროპის ორგანიზაცია“ და „საჭირო რეფორმები ჩრდილოეთ აფრიკაში“.

# ბივენის გამოსვლა

ლონდონი, 7 თებერვალი. (საქდესი). როგორც პრეს ასოციეიშნის სააგენტო იუწყება, გუშინ მიტინგზე ჰულში პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა ენიურინ ბივენმა მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში.

ბივენმა თქვა, რომ დიდი შეცდომა იქნება, თუ ამერიკის შეერთებული შტატები წავლენ ავანტიურაზე, რომელიც მათ ომში ჩაითრევს, იმ ვარაუდით, რომ თუ ისინი ასე მოიქცევიან, ინგლისი მათ გაჰყვება.

უკანასკნელ დრომდე, აღნიშნა შემდეგ ბივენმა, თვითმფრინავები, ზარბაზნები და ხომალდები, რომლებსაც შეერთებული შტატები აწვდიან ჩან კაი-შის, ბომბავდნენ და ცეცხლს უშენდნენ კონტინენტურ ჩინეთს ტაივანიდან, ახლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საპასუხო დარტყმას აწყობს. „ჩვენ სრულიად არაორაზროვნად უნდა განვუცხადოთ შეერთებულ შტატებს, რომ ინგლისი მსხვერპლად არ შეწირავს არც ერთ სიცოცხლეს იმისათვის, რომ ჩან კაი-ში ჩინეთში დაბრუნდეს“.

ბივენმა თქვა, რომ, შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის გზაზე გადადგმული პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება ის, რომ უარი ვუთხრათ ჩან კაი-შის მხარდაჭერაზე, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ განაცხადოს, რომ პეკინის მთავრობა კანონიერია. „მთელ მსოფლიოში უბრალო ადამიანებს, რომელთათვისაც უცხოა დიპლომატიის ორაზროვანი ენა, მშვენივრად ესმით, რომ ჩან კაი-შის მთავრობას აღარა აქვს უფლება ჩინეთის კანონიერ მთავრობას უწოდებდეს თავის თავს“.

# ხატოიამას განცხადება საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების შესახებ

შანხაი, 7 თებერვალი. (საქდესი), როგორც იაპონიის რადიო იუწყება, დღეს იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ხატოიამამ ქალაქ კაგოსიმაში გააკეთა შემდეგი განცხადება:

დარწმუნებული ვარ, რომ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის მოწესრიგების საკითხზე უთუოდ წარმატებით დაგვირგვინდება. ამჟამად იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების ადგილის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ მოლაპარაკების ადგილი მოსკოვი იქნება.

# დამთავრდა არაბთა ქვეყნების პრემიერ-მინისტრების თათბირი

კაირო, 7 თებერვალი. (საქდესი). მუშაობა დაამთავრა არაბთა ქვეყნების პრემიერ-მინისტრების თათბირმა, რომელიც მოწვეული იყო ერაყის მთავრობის იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ დადოს თურქეთთან სამხედრო ხელშეკრულება. 6 თებერვალს გაიმართა უკანასკნელი სხდომა, რომლის დამთავრების შემდეგ არავითარი განცხადება პრესისათვის არ გაუკეთებიათ.

არსებული ცნობებით, თათბირის მონაწილეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ერაყის პოზიციის შეფასების შესახებ. ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრი სალახ სალემი დღეს ოფიციალური გაზეთის „ალ-ჯუმხურიას“ ფურცლებზე აღნიშნავს, რომ თათბირის მონაწილეები „ვერაფერზე ვერ შეთანხმდნენ“. უთანხმოება მათ შორის იქამდე მივიდა, აღიარებს სალახ სალემი, რომ იმაზეც კი ვერ შეთანხმდნენ — დამთავრებულად ჩაეთვალათ თათბირი, თუ მხოლოდ შეწყვეტილად.

პრესის ცნობებიდან ირკვევა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა, რომლებმაც ჩააგონეს თურქეთის პრემიერ-მინისტრ მენდერესსა და ერაყის პრემიერ-მინისტრ ნური საიდს შეთანხმებულიყვნენ უახლოეს დროში თურქეთ-ერაყის სამხედრო შეთანხმების ხელმოწერის შესახებ, მოახერხეს გამოეწვიათ გათიშვა არაბთა ქვეყნების ბანაკში. კაიროს თათბირის შედეგებს დაეტყო ზეგავლენა, რასაც შეერთებული შტატები ახდენენ არაბთა ქვეყნების ლიგის წევრი მთელი რიგი სახელმწიფოების მთავრობებზე, რათა არ დაუშვან არაბთა საზოგადოებრიობის მისწრაფების დაკმაყოფილება, რომელიც მტკიცედ მოითხოვდა გადაჭრით დაეგმოთ თურქეთ-ერაყის ხელშეკრულება და უარეყოთ სამხედრო ბლოკებში არაბთა ქვეყნების ჩათრევის ახალი გეგმები.

# ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნების პრემიერ-მინისტრების კონფერენციაზე

ლონდონი, 7 თებერვალი. (საქდესი). დღეს გაიმართა ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნების პრემიერ-მინისტრების კონფერენციის პლენარული სხდომა, რომელზეც, როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, განხილულ იქნა საკითხი შორეულ აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ჟურნალისტთა წრეებიდან მიღებული ცნობებით, პრემიერ-მინისტრები განიხილავენ აგრეთვე მენდეს-ფრანსის მთავრობის დაცემის შედეგად ევროპაში შექმნილ ვითარებას და დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პერსპექტივებს საფრანგეთის მთავრობის დამარცხებასთან დაკავშირებით.

იმავე წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ პრემიერ-მინისტრები დღევანდელ სხდომაზე შეუდგნენ კონფერენციის მუშაობის კომუნიკეს განხილვას, რომელიც გამოქვეყნდება ხვალ საბოლოო სხდომის შემდეგ.

# ვემზადოთ თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების ადგილობრივი დათვალიერებისათვის

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის სექტემბერში უნდა მოეწყოს მხატვრული თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების ადგილობრივი დათვალიერება. ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი მოვლენაა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურის და კერძოდ ქართული ხელოვნების ცხოვრებაში. თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების ადგილობრივი დათვალიერება დიდად შეუწყობს ხელს მათი რეპერტუარის მხატვრულ-იდეური დონის ამაღლებას, კიდევ უფრო გააუმჯობესებს თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების შემოქმედებითს მუშაობას.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა დათვალიერების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა უახლოეს ხანში შეიმუშაოს და ადგილებზე გაგზავნოს თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების დათვალიერებაში მონაწილეობის დებულება. ხალხური შემოქმედების სახლს დაევალა უზრუნველყოს თვითმოქმედი დრამატული კოლექტივები მცირე ფორმის ახალი პიესებით.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა პირდაპირი მოვალეობაა აქედანვე შეუდგნენ მზადებას დათვალიერებაში მონაწილეობისათვის. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

დათვალიერებაში წარმატების მოპოვება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელი ორგანოები როგორ უხელმძღვანელებენ და დაეხმარებიან ამ საქმეში ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციებს.

# «კოლმეურნის» რესპუბლიკური ჩემპიონატი

თოვლის დაბალი ფენის გამო ბაკურიანში ძნელი გახდა სათხილამურო შეჯიბრების მოწყობა. ხშირად ტრასებზე სხვადასხვა ადგილებიდან მოაქვთ თოვლი.

მიუხედავად ამისა, ამ დღეებში აქ გაიმართა საქართველოს ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ პირადი პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში. პროგრამაში იყო სათხილამურო გადარბენები 5, 10, 18 და 30 კილომეტრზე, ორჭიდი, ტრამპლინიდან ხტომა, სლალომი.

ქალთა შორის 5 და 10 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენაში პირველი ადგილი დაიკავეს მესტიის წარმომადგენლებმა ნ. მუშუდიანმა და ჯ. ნიგურიანმა.

ვაჟთა შორის 10 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენაში გაიმარჯვა ვ. მიქაბერიძემ (ბორჯომი), 18-კილომეტრზე გადარბენაში — ნ. გავამ (ბორჯომი), ორჭიდში — ა. ადამიანცმა (ახალქალაქი), ტრამპლინიდან ხტომაში — ს. თვაურმა (ბორჯომი), 30 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენაში — ს. ჯეირანაშვილმა (ბორჯომი), სლალომში — ა. კოზანაშვილმა (ბორჯომი).

გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ ჯილდოები.

# ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 10 და 11 თებერვალს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2-7, დღისით 13-18 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში მცირე მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 12-17 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

# როგორ გაათავისუფლეს კუნძული იძიანშანი

როგორც ცნობილია, 18 იანვარს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ქვეგანაყოფებმა ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების დახმარებით ჩანკაიშელებისაგან გაათავისუფლეს კუნძული იძიანშანი.

ამ კუნძულიდან გომინდანელი ბანდიტები სისტემატურად თავს ესხმოდნენ ჩინეთის კონტინენტს და ჩინეთის სავაჭრო გემებს, მუდმივ საშიშროებას უქმნიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სანაპირო რაიონების მოსახლეობას.

კუნძული იძიანშანი 10 კილომეტრით არის დაშორებული დაჩენის კუნძულებს, ხოლო ეს უკანასკნელნი ჩინეთის სანაპიროდან 20 კილომეტრზე მდებარეობენ და ტაივანს დაშორებული არიან 350-400 კილომეტრით.

ამას წინათ ჩინურმა გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ გამოაქვეყნა დაწვრილებითი ცნობები, თუ როგორ გაათავისუფლეს ჩინელმა პატრიოტებმა კუნძული იძიანშანი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთ მონაცემებს ამ ცნობებიდან.

18 იანვარს დილით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 65 ბომბდამშენმა ავიაგამანადგურებელთა თანხლებით და შორსმსროლელი არტილერიის დახმარებით სასტიკად დაბომბა კუნძული იძიანშანი. ამრიგად, ჩანკაიშელთა სამხედრო სიმაგრენი და საყრდენი პუნქტები ძირითადად განადგურებულ იქნა. ამავე დროს თვითმფრინავების მეორე ჯგუფი ბომბავდა დაჩენის კუნძულებს, რომ მაშველი ძალების გადმოყვანის შესაძლებლობა არ მიეცა გომინდანელებისათვის.

მალე კუნძულის სანაპიროს მიადგნენ სადესანტო გემები, რომლებსაც იფარავდნენ თვითმფრინავები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები. სამხედრო გემების მეორე ნაწილმა კუნძულს შემოუარა და არტილერიის გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინა მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტებსა და ზურგის პოზიციებს.

14 საათზე სადესანტო რაზმებმა ზღვიდან და ჰაერიდან ცეცხლის საფარველით დაიწყეს ნაპირზე გადასვლა. ამოქმედდა მტრის შენიღბული ქვემეხები და ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტები, მაგრამ სამხედრო გემების მძლავრმა არტილერიამ ჩააჩუმა ისინი, გომინდანელებს ვერ უშველა ვერც დაჩენის კუნძულებიდან საშველად მოსულმა 5 სამხედრო გემმა. სახალხო ავიაციამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა უკუაქციეს მტრის ხომალდები.

სანაპიროზე გაჩაღებული სასტიკი ბრძოლა მალე მინელდა... მწვანე რაკეტებმა ამცნეს უახლოესი საბრძოლო ამოცანის წარმატებით გადაჭრა — ჩინელმა პატრიოტებმა ხელთ იგდეს სანაპიროზე ლეცინზიაო, ხუანიანძიაო, ხამინძიაო და სხვა საყრდენი პუნქტები.




მოიერიშე ჯგუფებმა წარმატებით დაძლიეს ჩანკაიშელთა წინააღმდეგობა და 16 საათზე კუნძულის ყველაზე მაღლობ ადგილას აფრიალდა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ძლევამოსილი წითელი დროშა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კუნძული ძლიერ ჰქონდათ გამაგრებული ამერიკელ იმპერიალისტებს და ისინი გომინდანელებთან ერთად ფიქრობდნენ, რომ სახალხო არმია ვერ აიღებდა ამ „მიუდგომელ სიმაგრეს“. მათ იმედი გაუცრუვდათ. ორი საათის გააფთრებულმა ბრძოლამ გადაწყვიტა კუნძულის ბედი. სახალხო არმიის სადესანტო რაზმებმა, მეზღვაურებმა და სახელოვანმა მფრინავებმა დიდი მამაცობა და სამხედრო ოსტატობა გამოიჩინეს.

იძიანშანისათვის წარმოებულ ბრძოლაში განადგურებულ ან ტყვედ წაყვანილ იქნა კუნძულის მთელი გარნიზონი. არასრული ცნობებით, კუნძულზე მოკლულ იქნა ან ტყვედ დანებდა 2.080-ზე მეტი გომინდანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია მე-4 ბატალიონის მეთაური ვან ფუ-ბი და ამ ბატალიონის 550-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა ხელთ იგდეს მტრის დიდძალი საჭურველი.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ სამართლიანად შენიშნავს: კუნძულ იძიანშანის განთავისუფლება იმას მოწმობს, რომ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია კარგად დაეუფლა თანამედროვე საბრძოლო ტექნიკას და საომარ ოპერაციებში ყველა სახეობის ჯარების ურთიერთმოქმედების მეთოდებს. ეს იმის თავდებაა, რომ ჩინელი ხალხი, მისი სახელოვანი შეიარაღებული ძალები გაათავისუფლებენ კუნძულ ტაივანს და რესპუბლიკის სხვა კუნძულებს.

ის ფაქტი, რომ გომინდანელი ნაძირალები იძულებული გახდნენ მოეხდინათ დაჩენის კუნძულების ევაკუაცია, ნათლად მოწმობს, თუ როგორ სწრაფად ახორციელებს ჩინელი ხალხი დასახულ მიზანს.


## დისერტაციების დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

22.II. 1955 წ. დღის 1 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

1. ნინო სილოვანის ასული თოფურია

თემაზე: „ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წესჩვეულებები დასავლეთ საქართველოში)“.

2. ჯულიეტა აკაკის ასული რუხაძე

თემაზე: „ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (მიწათმოქმედება-მეცხოველეობასთან დაკავშირებული წესჩვეულებები)“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ., № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

## დღეს

### თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ევგენი ონეგინი, რუსთაველის სახელობის — გზა მომავლისა, მარჯანიშვილის სახელობის — რაიკომის მდივანი, გრიბოედოვის სახელობის — მოგზაურობის წლები, სომხური დრამის — ძია ბაღდასარი, მუსიკალური კომედიის — სალხინობელი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ეს მოხდა მოსკოვში (აბონემენტი № 33, 10 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ზოლუშკა (10 ს.).

### კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ფანფან ტულიპი, კომკავშირელი, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ვატერლოოს ხიდი, დიდუბე, გორკის სახელობის პარკი — ბაიჯუ ბავრა, კოლმეურნე — ვინ არის დამნაშავე, კიროვის სახელობის პარკი — განგა, კომუნარების ბაღი — ტყვე ტაფუოდან.

## მიიღება ხელისმოწერა

შემდეგ ახალ ჟურნალებზე:

1. ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ნევა“. თვეში ღირს 5 მანეთი, წლის ბოლომდე 45 მანეთი.

2. ყოველთვიური ჟურნალი „Бетон и железобетон“. ჟურნალი გათვალისწინებულია მშენებლობათა ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის, საშენ მასალათა მრეწველობის და მანქანათმშენებლობის მუშაკებისათვის, სამშენებლო სასწავლებლების მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. თვეში ღირს 5 მანეთი, წლის ბოლომდე 45 მან.

1955 წელს გამოვა თვითეული ჟურნალის 9 ნომერი. ხელის მოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში.

„სოიუზპეჩატი“.

მეუღლე ტარიელ, შვილი თეიმურაზ ოჯახით იუწყებიან

ვალენტინა მამანტის ასულ კვანტალიანი-ნიკურაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-II, 4 ს. სამტრედიაში. გამოსვენება ბინიდან, მოლოტოვის ქ. № 94.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, პარტიული ორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან აღმასკომის წევრის, საგეგმო განყოფილების გამგის

შალვა ალექსანდრეს-ძე გვიჩიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-II, 8 ს. გამოსვენება 10-II, 4½ ს. უნივერსიტეტის ქ. № 19.

შვილები პალადი, მიშა, ვანო, კაკო, მარო, ლიუდმილა ოჯახებით იუწყებიან

მარიამ მეთოდეს ასული ელბაქიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-II, სოფ. წესში (ამბროლაურის რაიონი).

ცეკავშირის თბილკოოპვაჭრობის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

დავით ივანეს-ძე აბულაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 10-II, 5 ს. გობორგის ქ. № 38.

მეუღლე ნიკოლოზ კალანდაძე, შვილი ანა, მშობლები ლევან, ანა ოჯახით იუწყებიან

ნინო ლევანის ასულ ასათიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-II, 7 ს. გამოსვენება 10-II, 4 ს. ჯავახიშვილის ქ. № 18.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებების: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, [illegible] — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-51-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70

უე 00326

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.